„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№2 (318)
თებერვალი
2025 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეშვიდე წელი "LITERATURULI MESKHETI"

900 წელი დავით აღმაშენებლის ხსენებიდან!

გალობანი სინანულისანი

დავით აღმაშენებელი

გალობა პირველი

რომლისაცა წინაშე
ქედდადრეკილ არს ყოველი,
მუხლი ყოველი მოდრკების და ენაჲ ყოველი
შენსა ხმობს აღსარებასა,
მეცა, სიტყუაო,
აღმსარებელსა მომხედენ!

ხატსა თვისსა მამსგავსე
და საკრველად გრძნობადისა
და გონიერისა მყოფობისად დამაწესე
შენებრ არსთა სიტყუებისა
ჩემ შორისცა შეკრებითა,
ხოლო მე უმადლო გექმენ.
ბუნებითი რაჲ ძალნი
არა სჯულთაებრ ვიჴუმიენ
მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი,
ხოლო ხილულთამიერსა გემოვნებასა
ვრცელად განუხვენ გრძნობანი.
ქალწულო, ბრალეულთა
თავმსდებო, რომელმან სიტყვაჲ
განაზრქე ხორცითა და კარვითა მიწისაჲთა,
სიზრქე უსასოებისაჲ განმძარცვე,
რაჲთა მონანული შეგივრდე შენ!

გალობა მესამე

ბუნებითსა რაჲ პორფირსა
თვითმფლობელობასა თანა
მეფობისაცა შარავანდნი
მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ბილწთა
მონებად მივჰყიდე თავი,
რამეთუ „რომლისაგანცა ვინ
ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ.„
კაენის მკვლელებრი ცნობაჲ,
სეითის ძეთა ლირწებაჲ,
გმირთა სიღოდით მავალობაჲ
ხუთ ქალაქელთა შეგინებისა მწვირე -
უფროჲსად ვამრავალწილე,
ვითარცა რაჲ აღმართ მსრბოლმან
მდინარემან უკეთურებისამან.
მეგვიპტური გულმძიმობაჲ,
ქანანელთ ჩვეულებანი,
მსხვერპლვაჲ ნაგებთაჲ, ზმნაჲ და სახრვაჲ,
კოწოლი თმათაჲ და სხუანი, რომელთაჲ
შენ ჰბრძანე არა-მსგავსებაჲ,
უწარმდებესად მოვიგენ
თჳთ მათ პირმშოთა სახეთასაცა.
ამისთჳს იყო ქალწული
და ხორცქმნაჲ სიტყვისაჲ,
რაჲთა დედობრივთა ოხათა მიერ
ცხოვნდნენ ცოდვილნი, რომელთა პირველი,
საშუალი და დასასრული
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,
შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ.

გალობა მეოთხე

ისრაელისა მეფეთა
ვჰბაძევდ, გარნა უსჯულოთა
და რავდენ მეძლო, ვსცდებოდე მაღალთა ზედა
კუმევისა და წარმართთა აღრევისა მიერ
და ძალთა ცისათა თაყვანისცემისა.
ზენაჲს მოძრაობისა
ასურასტანული ზმნობაჲ,
და ცთომილთა ვარსკულავთა და უცთომელთა
კრებაჲ და განყრაჲ, სვე და ბედი, და შობის დღე
ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ.
ელლინთა მიერ ვერ ცნობაჲ
სიბრძნითა ღმრთისაჲთა ღმრთისაჲ
და შემოქმედისაგან შექმნილთა მიმართ
ცვალებაჲ თაყუანისცემისაჲ სრულვყავ, რაჟამს
თითოეულსა ვნებისა კერპსა ვჰმსახურე.
ამისთვის ღმერთ-მამაკაცებრ
მოქმედ იქნა ზეშთა ღმერთთაჲ,
რაჲთა კაცებრ უწყოდნის ვნებანი ჩუენნი,
და ღმრთეებრ იხსნიდეს ბრალთაგან,
რომელთა ღმრთისმშობელად ქადაგონ ქალწული დედაჲ!

გალობა მეხუთე

სჯულნი დავთრგუნენ
წიგნისანი და ახალი ბუნებითურთ,
და სჯულისა შენისა მოწამე, სჯული
გონებისაჲ, ცოდვისა
და ხორცთა შჯულსა დავამონე.
თითოეულთა
მჴეცთაგან შეზავებულსა მხეცსა ვემსგავსე,
მრავალგვარსა და მრავალხატსა, და სხვა-ჟამ სხვებრ
ხილულსა და მკსენარსა
ბუნებისაებრ თითოეულისა.
არა შევძრწუნდი
მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი
შურსა სიკვდილისასა მიჰხდის, რომელნი ჩემებრ
მიმდემად ცრუდ ფუცვიდენ
განსაკრთომელსა სახელსა შენსა.
ამისთვის სისხლთა
ქალწულებრივთაგან ხორცნი ღმრთისანი,
და ახალი შეზავებაჲ ღმერთი და კაცი,
რაჲთა იოხდეს დედაჲ
ჩემებრ განწირვით უსასოქმნილთა!

გალობა მეექვსე

სოლომონისაჲსა
წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი
სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებ დაპყრობად
და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ,
ვითარცა მცირეთა და უნდოთა,
ჩემისამდე უძლებებისა და გულისთქუმისა.
ბოროტად გარდავჰხედ
საზღვართა, და შევჰრთე სახლი სახლსა,
და აგარაკი აგარაკსა, და უუძლურესთა
მივჰხვეჭე ნაწილი მათი,
და ვიღვწიდ უმეზობლობასა,
ვითარმცა მარტოჲ ვმკვიდრობდ ქვეყანასა ზედა.
მბრძოლ ვექმენ ყოველთა
წესთა სჯულისა შენისათა
და ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა,
და სახეთა მიერ ბოროტთა
მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი,
ვითარცა მეფეთა მისთა - ისრაელი.
ამისთვის ქალწული
დედაჲ და შობაჲ ახალი
სიტყვისაჲ, რაჲთა ახალი ხატყოფაჲ მეორედ მისცეს
ცოდვით განრყუნელთა მისთა,
დედობრივთა რაჲ ოხათა ბრძმედითა
დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაჲ!

გალობა მეშვიდე

ვეცხლი, ვითარცა
მიწაჲ და ოქროჲ, ვითარ თიხაჲ უბნისაჲ ვიუნჯენ,
თაყვანის ვეც ანგაჰრებისა მამონას,
ვითარ-იგი ძუელთა მათ —
ბაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა.
სიტყუაჲ წმიდაჲ და
ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო
მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე,
და შემასმენელთანი
დავიტკბენ მზრახვანი,
და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი.
ცრემლნი ქვრივთანი
და ობოლთა ბრგუნვილი ტირილი არ შევიწყალე,
არა განუხუენ ნაწლევნი მოქენეთა,
უფროჲსღა შენ, ქრისტე,
რომელი იზრდები
მცირედითა ზრდითა მათითა.
ამისთვის შობაჲ
ღმრთისაჲ ადამიანისაგან დედაკაცისა,
რაჲთა მიწით შობილთა კაცთა ცთომასა,
ვითარცა ღმრთისა დედაჲ,
დაჰხსნიდეს ქალწული
და იოხდეს ცოდვილთა!

გალობა მერვე

ესენი ვცოდენ სახარებისა სჯულთა
და მცნებათა შენთა შინა,
მცემელთა რაჲ ყვრმილისა მიპყრობასა
და გლახაკთათვის განშიშვლებასა,
და რაჲთურთით არა ფიცსა
შენ, სჯულისმდებელი ჩემი, ჰბრძანდები
და გულისთქუმით მიმხედველობასა
განსრულებად მრუშებად დასდები.
დაღათუ ესრეთ განვხრწნენ ყოველნი გრძნობანი
და ყოვლად ხრწნილება ვიქმენ,
გარნა არავე აღვიხვენ ხელნი,
არცა დავდე სასოებაჲ ჩემი
ღმრთისა მიმართ უცხოჲსა, არცა
უცხო-თესლი რაჲმე სარწმუნოებაჲ
საწვრთელ ვყავ სულისა, გარეშე მისსა,
რომელი მასწავეს ღმრთისმეტყუელთა შენთა.
და აწ, მომდრეკელი მუხლთა გულისათაჲ
ვხმობ, ვითარცა სხვაჲ მანასე,
მილხინე, მეუფეო, მილხინე
და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა,
და ნუ იხსენებ ძვირთა ჩემთა,
და ნუ დამსჯი მე ქვესკნელთა თანა,
რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ,
ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან.
საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ, უხრწნელო
ქალწულო, და გვრწამს, ვითარმედ
პატივი ხატისა შენისაჲ შენდამო

გაგრძელება მე-5 გვ.▶

ალახოში

თეა ირემაშვილი

ღამე თეთრად დამათენდა. სამი სიტყვა, რომელიც გონებიდან არ ამომდიოდა, დაძინების საშუალებას არ მაძლევდა. მითხრეს, საუკეთესო მსახიობი ხარო. თითქოს არაფერი, უწყინარი და მშვიდი ფრაზაა, მაგრამ სულმა დაიმახსოვრა და ძილი დამიფრთხო. არაფრით გამორჩეული და მუდამ ჩრდილში მყოფი, მხოლოდ ისე ვთამაშობდი, როგორც სპექტაკლი მოითხოვდა. გული და სული საქმეში არასდროს ჩამიდია, მაგრამ მაინც ასე მითხრეს. დამცინეს; სარკაზმი იყო, რომელიც დავიმსახურე, თუმცა მისი სახე ამ გრძნობას არ გამოხატავდა. ჩანდა, სიმართლეს ამბობდა და სჯეროდა, რომ ჩემზე უკეთესს ვერავის ნახავდა. გულწრფელობა იგრძნობოდა და მაგან დამაფიქრა. დილით მივხვდი; ჩემს პროფესიას არ გულისხმობდა. საკუთარი თავის ვერსიას ვთამაშობდი იდეალურად, ყველგან და ყველასთან; „კომპლიმენტიც“ ამიტომ მივიღე. ბედნიერებითა და სიხარულით სავსეს ვგავდი, ჩემთან მოდიოდნენ დახმარების სათხოვნელად, მაშინ, როდესაც თავად დასახმარებელი ვიყავი. მეკითხებოდნენ, რას ვგრძნობდი, გავიღიმებდი, თავს მშვიდად დავუკრავდი და მარტივად ვარწმუნებდი, რომ ჩემზე უზრუნველი დედამიწაზე სხვა არავინ დაიარებოდა. არადა, ვინ მოთვლის, კლდის პირას რამდენჯერ ვმდგარვარ. სუსტ ნიავსაც შეეძლო, ჩემი გადაგდება, მაგრამ უკანასკნელ ძალებს ვიკრებდი და უკან ვიხევდი. ისევ ვიღიმოდი, ისევ ბედნიერი ადამიანის როლს ვთამაშობდი: ბედნიერის და ძლიერის. ზუსტად ვიცოდი, ყველაფერს გავუძლებდი, თუ ერთი ადამიანი მაინც იქნებოდა, რომელიც ჩემს პასუხს არ დაიჯერებდა, წინ დამიდგებოდა, თვალებში ჩამხედავდა და მეტყოდა: „არ ხარ კარგად. დროა, აღიარო!“ ასეთი არავინ აღმოჩნდა. არ მახსოვს, როდის გადავწყვიტე სიჩუმე და ემოციების გამოუხატველობა, შესაძლოა ბავშვობიდანვე. ჩარჩოები, რომელიც გარშემო მყოფმა ადამიანებმა შემიქმნეს, ნელ-ნელა ვიწროვდებოდა და მახრჩობდა. მე არ ვარ, მაგრამ ჩემი ცხოვრების წლები და დღეები მიაქვს, ხანდახან უმიზნოდ და უმისამართოდაც. აზარტულ თამაშებზე და ნარკოტიკებზე დამოკიდებულებამ უფრო სუსტი და უნიათო გამხადა. თავს ვერ ვერევი, ვერაფერს ვახერხებ. ფულის ნაცვლად, საკუთარი დის გაყიდვაც შემიძლია. აღიარება შვებას არ მგვრის, მაგრამ ამას წინათ კაცმა, რომელსაც ჩემი და მოსწონს, მასზე თამაში შემომთავაზა. თანხმობა, პრობლემად არ მიმიჩნევია. ამის გააზრებამ, გული ამირია. იმ დღიდან გავექეცი საკუთარ თავს და მივიღე გადაწყვეტილება, რომელსაც დღეს სისრულეში მოვიყვან. განცდა იმისა, რომ ყველა და ყველაფერი ჩემ წინააღმდეგ მოძრაობდა, არასდროს მტოვებდა. გზას, რომელსაც გავდიოდი ეკლიანი და ეჭვებით სავსე იყო. ვცდილობდი არ შემემჩნია, მაგრამ არ გამომდიოდა. ზურგს უკან კარი იკეტებოდა და წარსულის ლაბირინთებში ვიკარგებოდი. ქრებოდა აწმყო, უჩინარდებოდა მომავალი და მხოლოდ იმ დროს შევყურებდი, რომელიც



ვფიქრობ, რომ მისთვის გავჩნდი და მხოლოდ იმიტომ ვარსებობ. ვიცი, მშობლისთვის რთულია შვილის ასეთ მდგომარეობაში ნახვა, ამიტომ არ მივდივარ ხოლმე მასთან, ან ყველაზე ბედნიერი და წარმატებული ვაჟის როლს ვთამაშობ. უიღბლობის, უნიათობის, აგრესიისა და შურისძიების დაუსრულებელი წრის დასრულება გადავწყვიტე. ჩემით დავასრულებ, მეც დავსრულდები. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დავმსუბუქდი და ფრენა შემიძლია. ძალა მოვიკრიბე და სიტყვამაც თავისუფლად გაიჟღერა გონებაში: თვითმკვლელობა! თუ ერთადერთი გამოსავალია, დაე, ასეც იყოს. ტანსაცმელს დიდხანს ვარჩევდი. არ ვიცოდი, რა ჩამეცვა. ეს ხომ უკანასკნელი გასეირნება იყო ქალაქში და მინდოდა, დასამახსოვრებელი გარეგნობა მქონოდა. ლურჯი პერანგი, შავი შარვალი, შავი ფეხსაცმელი და ქამარი იდეალურად მოერგო მიზანსაც და მდგომარეობასაც. ნახევარ საათში თეატრში ვიყავი. სპექტაკლი იწყებოდა. მაყურებელს ვერ ვხედავდი, განათება მიშლიდა

ალახოში

მაინც არაფერს ვამბობდი; ველოდებოდი იმას ვინც მკაცრად მეტყოდა, რომ სიმართლე მეთქვა; სხვა შემთხვევაში ვდუმდი. ამ მოლოდინის გამო, თავად დამჩემდა კითხვების ხშირი დასმა. თითქოს მგონია, რომ ისინიც იტყუებიან და რამდენჯერმე ვუმეორებ შეკითხვას: „როგორ ხარ?“, „ნამდვილად კარგად ხარ?“, „არაფერი გჭირდება?“. ამასობაში აღმოვაჩინე, რომ სიმართლის თქმა, შიშის განცდას გვიტოვებს. გვეშინია, რომ გულწრფელობას ჩვენივე საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ და ამიტომ თევზებივით, ბაგე წყლით გვაქვს ამოვსებული. დრო და დრო, ჩემი ბავშვობა მახსენდება. გააზრება, აქამდე როგორ მოვედი, გულს მტკენს. მაშინაც მარტო ვიყავი. ყველა მეუბნებოდა, რომ დამოუკიდებლად შევძელი ცხოვრება. სხვა გზა არც მქონია, რადგან ჩუმი ჩურჩული არავის ესმოდა. რატომ არ ვსაუბრობდი? მეშინოდა. „კაცი არ უნდა ტიროდეს, სუსტი არ უნდა იყოს„; „არ უნდა იწუწუნო“ – ამ ჩარჩოებმა ენა გადამიყლაპა და გამოუთქმელმა ემოციებმა ნიღაბი მომარგო, რომელიც კანზე ისე შემისისხლხორცდა, რომ მისი მოხსნა აღარ შემეძლო. არ გეგონოთ, რომ ვინმეს ვსაყვედურობ, მით უმეტეს, მშობლებს. არა! მათი მადლიერი ვარ. ყველაფერი მომცეს რაც ჰქონდათ და შეეძლოთ. სინამდვილეში, ისინიც ამ წუთისოფლის მსხვერპლნი არიან, ამიტომ არ ვუბრაზდები. ჩემი ბრალია; სიძლიერით ისე ვიყავი დაკავებული, რომ სუსტი მხარე, საკუთარი ხელებით დავმარხე და როცა ფაქტის წინაშე ვდგები, ძალას ვეღარ ვპოულობ. ენერგია აღარ მაქვს, რომ დახმარება ვითხოვო; სწორედ ამ დროს მივდივარ კლდის პირას, ვჯდები და ჩემს ფეხქვეშ, იმ მიწას შევცქერი, რომელსაც ტალღები უნებურად მაცლიან, წონასწორობას ვკარგავ და ეს ყველაზე მეტად მომწონს. ვხვდები, ადგილი მჭირდება, სადაც უმწეო ვიქნები და თან დაუცველობის გამო არავინ გამკიცხავს. ხელს არავინ მომიშვერს – არ მიცნობენ. უწინ, ნიღაბი მხოლოდ მაშინ მქონდა მორგებული, როცა ხალხთან ერთად ვიყავი. ახლა საკუთარ თავსაც ვემალები და, ალბათ, ესაა მიზეზი სარკეში ჩახედვა რომ არ მიყვარს. ამიტომ გავხდი საუკეთესო; ვთამაშობ როლს, რომლის მთავარი გმირი არ დაბრუნდებოდა. სხეული უიმედობით გაიჟღინთა და უფრო მეტად უსუსური გავხდი. ამ ბოლო დროს არსად მივდივარ. ერთი სული მაქვს სახლში მივიდე და ჩაბნელებულ ოთახში გავუჩინარდე; სინათლე მხოლოდ ფანჯრიდან აღწევს, ისიც მანამ, სანამ დავიძინებ. შემდეგ უკუნეთ სიბნელეს აღარაფერი ანათებს. ასე მუქდება ჩემი სულის ნაწილებიც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ და წინააღმდეგობის გაწევასაც არ ვფიქრობ. შეიძლება ვფიქრობ, მაგრამ ცნობიერი არ აღიარებს. ავდექი, მაგრამ სახლიდან გასვლის ძალა არ მქონდა. დღეს ბოლო სპექტაკლს ვითამაშებდი. აუხსნელად დავემშვიდობებოდი ყველას, მაყურებელს თავს დავუკრავდი და... ხვდებით, ალბათ, ხომ? უცნაურია, ამ სიტყვის თქმა, ახლა რომ ვერ შევძელი. გამაჟრიალა. არადა გეგმა დიდი ხნის მოფიქრებულია და მხოლოდ მისი შესრულებაღაა დარჩენილი. წესით არ უნდა შემეშინდეს. უნდა გამოვიდეს და მარტივად დასრულდება ყველაფერი. ვიქნები ახალ ამბებში, განსხვავებული რაკურსით, რამდენიმე ადამიანი იტირებს კიდეც, უკანასკნელ გზაზე გამაცილებენ, ყვავილებს და გამყინავ მიწას დამაყრიან გულზე და ისევ მარტო დავრჩები. ცივ სამარეში, მძიმე და მსუსხავი მიწის ქვეშ. ნეტავ, ვიგრძნობ ამ ყველაფერს? მეეჭვება. ცოცხალ კაცს მაქვს გრძნობა დაკარგული; ცოცხალი ვარ – ემოციებისა და განსჯის უნარს მოკლებული; მკვდარი რაღას გავიგებ?! მდგომარეობა, რომელშიც აღმოვჩნდი, ერთბაშად არ მოსულა. ყველა მოგონება და ადამიანი ჩემ გარშემო, წარმატებულად მიქმნიდა სიტუაციას, რომლისგან თავის დაღწევაც აუხდენელ ოცნებად მექცა. არც მე ვაკლებდი. პატიოსანი ცხოვრებით არ მიცხოვრია. ვალდებულებები მახრჩობდა, გაქცევა მსურდა, მაგრამ შარვლის ტოტზე ჩამოკიდებული მაჯლაჯუნები არ მაძლევდნენ ამის უფლებას. არც ანგელოზები მასვენებდნენ. უნდა გაუშვა! ადამიანს თუ დასვენება უნდა, ყველასგან და ყველაფრისგან, უბრალოდ უნდა გაუშვა, მაგრამ ამას დედაჩემი გაიგებდა? მისთვის წარმოუდგენელია შვილის გარეშე ცხოვრება. ხანდახან მგონია, რომ მიჯაჭვული ვარ სიამის ტყუპივით და მის გარეშე ყოფნის უფლება არ მაქვს. ხელს, მაგრამ ვგრძნობდი, შექმნილ მოლოდინს. დღეს ბოლომდე დავიხარჯებოდი, გავცემდი ყველაფერს. პირველად ცხოვრებაში, ვიქნებოდი საუკეთესო მსახიობი, რომელიც სიცოცხლეს, პირდაპირ სცენაზე დაასრულებდა. არ ვღელავდი, არც შფოთვა მაწუხებდა. ასეთი მშვიდი არასდროს ვყოფილვარ. სიმამაცე საიდან მაქვს? გგონიათ ოდესმე მამაცი ვყოფილვარ? სიტყვის მნიშვნელობაც კი არ ვიცი. ეს რომ მცოდნოდა ამ მდგომარეობამდე არც მოვიდოდი. შევცვლიდი ყოველდღიურ სიტუაციას, ან გარემოს მაინც. რეალურად არცერთის გადასხვაფერება მიცდია და სწორედ ამიტომ, დღეს და აქ, ვასრულებ წუთისოფელში ყოფნას. ერთი წამით წარმოვიდგინე რა მოხდებოდა. სცენა სისხლით შეიღებებოდა, ხალხი იკივლებდა, რამდენიმე დასახმარებლად ჩემკენ გამოიქცეოდა, ზოგი შიშისგან აცახცახებული გასასვლელის ძებნას დაიწყებდა; მე კიდევ, მშვიდად დავხუჭავდი თვალებს, უკანასკნელად გადავხედავდი სპექტაკლზე მოსულ მაყურებელს, ჩავისუნთქავდი თეატრის მტვერს და გავუყვებოდი უსასრულო გზას, რომელიც წარმოდგენა არ მაქვს, სად ჯანდაბაში მიმიყვანდა. სპექტაკლი დაიწყო. მსახიობები გამოვდივართ სცენაზე. მაყურებელთა სივრცე უფრო მეტად ჩაბნელდა. აპლოდისმენტების ფონზე, მელოდიამ უშფოთველად გაიჟღერა. წარმოდგენა არავის ჰქონდა, რა ელოდებოდა. თამაშს ეს უფრო სასიამოვნოს ხდიდა. ძალა შემმატა განცდამ, რომელიც მაშინ დამეუფლა, როდესაც გავიაზრე, რომ რაც მოხდებოდა, ჩემ გარდა არავინ უწყოდა. თითქოს გავმაღლდი; წელში გავსწორდი, გავიმართე და ზემოდან დავიწყე დანარჩენების ყურება. ჩემზე დიდი და დიადი არავინ მეგონა. იქნებ, სხვის თვალში პატარა კაცუნა ვიყავი, რომელიც მარტივად სამართავი იყო. უსარგებლო, სრულიად უნიათო ადამიანის შთაბეჭდილებასაც კი ვტოვებდი, ალბათ. სამაგიეროდ, ჩემს გონებაში ვიყავი უზარმაზარი ადამიანი ამ გადაწყვეტილების გამო; გადაწყვეტილების, რომელსაც რამდენიმე წუთში რეალობად ვაქცევდი. პიესაში მათხოვარს ვთამაშობდი. ღატაკი, რომელიც სრულიად უცნობ მდიდარ მამაკაცს დანით კლავს, შურისა და სიბოროტის გამო. ასე უცნაურად დაემთხვა ჩემი ცხოვრების სიტუაცია და მიღებული როლი, მაგრამ დღეს დასასრული შეიცვლებოდა. მაყურებელი გასუსული უსმენდა წარმოდგენას. ხმას არავინ იღებდა. აშკარად მოსწონდათ და კმაყოფილები იყვნენ. სხვა შემთხვევაში, დარბაზის დატოვების ხმას მაინც გავიგებდი. ვერ ვიაზრებ, როგორ ვთამაშობ. სიტყვები და ქმედებები თავისთავად მოდის.. მხოლოდ უკანასკნელი სცენა ტრიალებს გონებაში და სხვა არაფერი. ერთი სული მაქვს, ეს დრო მოვიდეს. ისე ვარ, თითქოს ჩემპიონი გავხდი და ეს ესაა პრიზს და ოქროს მედალს გადმომცემენ. სცენაზე მყარად ვდგავარ. ვიცი, გადაწყვეტილებას არ შევცვლი. ასეთი ძლიერი არასდროს ვყოფილვარ. ღმერთო, ნეტავ, სად იმალებოდა ეს ძალა და ენერგია?! გულმა გამალებით დაიწყო ცემა. დრო მოვიდა. ნაბიჯი წინ გადავდგი. მივდივარ ელეგანტურად ჩაცმულ, ჰალსტუხიან მამაკაცთან. მის წინ ვდგები. უაზროდ ვიღრიჭები, ხმამაღლა ვიცინი. სუფლიორი მკარნახობს, რომ ნაწარმოებს გავცდი და არასწორად მიმყავს სპექტაკლი. ამ დროს მათხოვარი უნდა ტიროდეს და ღმერთს საყვედურობდეს, ასეთად რატომ შემქმენიო. პატიებას სთხოვს წინ მდგარ კაცს და ცხოვრების გაუბედურებასაც მას უნდა აბრალებდეს. მე კი უმიზნოდ და უშინაარსოდ ვიცინი, კი არ ვიცინი, ვხარხარებ. ეს ხომ უკანასკნელი წუთებია – ვერ ვიტირებ. ისევ ვხითხითებ, ხმამაღლა და ამაზრზენად; კბილებს ვიღრიჭინებ. საბოლოოდ მოვიდა დღე, როცა ნადილს ავისრულებ; ჯიბიდან დანას ვიღებ და... ვიგრძენი, თბილი სისხლი როგორ გადმოიღვარა სხეულიდან. თეთრი, ჭუჭყიანი, დაძონძილი მაისურა მომეწება მუცელზე და ნელ-ნელა წითლდება. კივილიც მესმის; აგერ, ჩემი მეგობარიც ყვირის: „რას აკეთებ, ბიჭო“! ძალა მეცლება, ფეხი მეკვეთება. ვიღიმი მშვიდად და უკანასკნელად. ეს ბოლო სურვილი იყო, რისი გაკეთებაც მინდოდა. სინათლე უფრო კაშკაშა და ნათელი ხდება. ჩემი თვალები ვეღარ უძლებს მის სიელვარეს. ვხედავ, შავი ხვრელივით რაღაც მოემართება ჩემკენ, ოღონდ გიშრისფერი კი არაა, არამედ ქათქათა, სპეტაკი სინათლეა. ყურთასმენაც ქრება. აღარაფერი მესმის, ვეღარაფერს ვგრძნობ. სრულ სიცარიელეში ვიკარგები. საკუთარი სხეულის სიმძიმესაც ვეღარ აღვიქვამ. ხელს ვიშვერ სადღაც უსასრულობაში. ვცდილობ რამეს ჩავეჭიდო. შორს ქალის სილუეტი ჩანს, რომელიც მიახლოვდება. ვიცანი... დედაჩემის სახეს ვხედავ და ვნანობ; მთელი გულით და არსებით ვნანობ. ლაპარაკის თავი არ მაქვს, ვეღარც თვალებს ვახელ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ უთქმელ ღაღადს გაიგებენ და გადამარჩენენ. ამის დედაც! აღარ მინდა სიკვდილი. შეცდომა დავუშვი. ბრძოლა მინდა სიცოცხლისთვის და ბედნიერი ყოფისთვის. მხოლოდ ტირილის ხმა მესმის. სახე მისველდება. დანახვა მინდა, ვინც ასე მგლოვობს. ვერ ვახერხებ ... დამეხმარეთ... არ მსურს იმ ადამიანების დატოვება, რომელთა ქვითინიც მძიმედ ჩამესმის. გადამარჩინეთ... ბევრი რამეა გამოსასწორებელი. ჩემი მეზობელი მოხუცი ქალი მყავს მოსაძებნი. მისთვის ბოდიში მაქვს მოსახდელი; გუშინ ცუდად ვესაუბრე. ნათიაც უნდა ვნახო, არც მას მოვქცეულვარ კარგად. ყურადღებას და სიყვარულს ითხოვდა ჩემგან, მე კი გამუდმებით ხელს ვკრავდი. სიცოცხლე მინდა! ცხოვრება კადრებად მიდის. თითოეული რეალური სცენა თითქოს წლები გრძელდება. ამის დედაც, მიშველეთ ვინმემ. სად არის სასწრაფო აქამდე? წარსული ცოცხლდება და შინაგანად მჭამს. კიდევ ერთი მოგონება გამახსენდა. აი ის, ბავშვობაში დედასთან ერთად ზოოპარკში რომ მივდიოდი; გზაში წაქცეული ვერ დამინახა და გადამიარა უცნობმა ქალბატონმა. სინანული არ უგრძნია, არც ბოდიში მოუხდია. ვფიქრობ, მაშინ დავკარგე ადამიანების ნდობა. გაშეშებული, ჩემ მიღმა ვუყურებდი იმწუთიერ მოგონებებს და დრო ფაქტებთან ერთად სწრაფად იცვლებოდა. თითქოს ვმოგზაურობდი ჩემივე ცხოვრებაში და ყველაფერს ვაკვირდებოდი. მალევე მახსენდება ჩემი მდგომარეობა. შიში მიპყრობს. გონება აღარ მომყვება. სხეული

გაგრძელება გვ.5 ▶

გიორგი მეშვიდე

(მცირე პოემა. 1407 წელი)

გურამ ქართველიშვილი

იმას არ ჰყავდა მაშველი, ის მარტო იდგა არაქსთან,
ხუთი ათასი მხედარით, ვისაც ეპოქა არ ასცდა,
ვინც თემურს რვაჯერ ეომა, სისხლში იბანა სხეული,
ომებში ლომთა მძლეველი, ლომთაგან ვერ დაძლეული!

მოხსენდა მეფეს: – ერევანს მოადგა „შავბატკნიანი",
ველური ურდო მოუძღვის ათასი დოლი ხმიანი,
მეფედ ჰყავთ ყარა იუსუფ, თემურის მიერ ძლეული,
მასთან ბრძოლის ვერ მიმღები და ეგვიპტეს გაქცეული.

რაც „ხეიბარი" ჩაძაღლდა, სარჩოს დაეძებს ურდოსთვის,
მისი ერთგული ხალხისთვის, მძარცველისთვის
და უნდოსთვის.
გეზი ქართლისკენ უჭირავთ, ბევრი ხმალი და ფარია,
იციან ქართლი სუსტია, თემურთან ნაომარია.



თბილისი. უცნობი გერმანელი
მხატვრის გრავიურა
XVIII ს.

– ამიტომ ჟამი ცოტაა, უნდა მოვუჭრათ სავალი!
არას ცვლის ჩვენ რომ ცოტა ვართ, „შავბატკნიანი"
მრავალი..!-
ამბობდა მეფის სარდალი, ვეფხვი – უკან არ დამხევი,
ქრისტეს ჯვარივით ეხატა სახეზე ორი ნახმლევი.

ნაცადი სარდლის ძახილზე ჯარი აენთო, ამხედრდა,
აღარაფერი აშინებს, ლენგთან ომებში დაბერდა.
მეფემ აყარა ბანაკი, ის თავის ჯარზე მგელია,
უნაგირზე ზის უწყვეტად უკვე თვრამეტი წელია.

ქრისტიანობის იმედი, საქმით მესიის მახვილი,
მონარქთა მომდრეკ თემურთან, ომში დროშა არდახრილი,
სამშობლოშემოლეწილი, ერი ნახოცი, ნაპარი,
მიწისთვის ომის შედეგი, ჯოჯოხეთური ზღაპარი.

ახლაც ცხენზეა, მიფრინავს, მტერი რომ ალში გახვიოს,
„შავბატკნიანი" დროშები, სულ თავზე გადაახიოს.
თუ დაუმარცხდა, მოკვდება, თუ ეს განგების ნებაა,
გადაიღალა ომებით, სიკვდილი აწი შვებაა...

და აი, ზღუდეც გალავნის, ერევანია ნამდვილად,
– კარგად ვიარეთ მხედრებო, ჩამოვაღწიეთ სადილად,
მაგრამ ქალაქი ცეცხლშია, დარბეულია ყოველი,
მოქალაქენი მოკლული, არავინაა მგლოველი.

*
ფეხად გაასწრო უსუფმა, კვალზე ნაცარი დატოვა.
ერევანს სისხლი ადინა, სიკვდილი გადაათოვა.
მერე ქართლისკენ წავიდა, მიეჩქარება ძალიან,
სანამ გიორგი სხვაგან დგას, მოცდისთვის სადა სცალია?!

იცის, შორს არის გიორგი, გზაში აცნობეს ამბები,
– უმეფოდ ქართლში ვინ არის ურდოზე ხელის ამღები?!
რაც თემურს დარჩა, გაპარსავს, ალბათ ტყვეებიც
დარჩება,
იქნებ და ოქროც წაგლიჯოს, გადანახული ახჩებად.

ამ ოცნებაში რომ იყო, უეცრად მაცნე მოიჭრა,
ცხენი ქარივით აჭენა, ლაჯებში რომ გამოიჩრა.
სულმოუთქმელად ყვიროდა: – წინ გურჯი გადაგვეღობა!
მეტად ცოტანი არიან, ერთ ლუკმადაც არ გვეყოფა!

გიორგი მეფე მოუძღვით, ქრისტეს მახვილი, წყეული,
მხედარი ხუთი ათასი, მხედრებისგან ვერ ძლეული.
ამბობენ, ომი იციან, ერთი ასს არ დაგიდევენ,
მომხვდურის მოკვლის გარეშე ხელს ტყვილად
არ გაიქნევენ.

ამიტომ მარჯვედ იყავით, შავბატკნიანი ყოველი,
იმ გორებს ამოვაფაროთ დედა-წული და ცხოველი.
ვისაც მახვილი გვარტყია, გურჯებს დავუხვდეთ
ერთობით,
თითოზე ასი მივიდეთ, უნდა ვაჯობოთ მეტობით.

თორემ ამდენი მგლის მოკვლა, ძალიან გაგვიჭირდება,
იმათი მგლური ყმუილი გაცამტვერებას გვპირდება!
უსუფმა ბრძანა მზაობა, ურდომ აისხა რკინები,
ცოტაღა იყო მათ შორის შიშისგან განაცინები...

ურდო ბრძოლიდან გამქცევი, თემურის მიერ დევნილი,
„ხეიბრის" შიშით ეგვიპტეს ოცი წლით გადახვეწილი,
სანამ გურჯები იბრძოდნენ, თოქალთოებზე ეძინათ,
მერე ეგვიპტის პატრონებს, მათი შენახვა ეძვირათ.

გამოაძევეს იქიდან ურდო, ომებში ძლეული,
სუსტების სისხლის მწოველი, ნასუფრალებზე წვეული.
იცოდა ყარა უსუფმა, რომ განაზრახი წაუხდა,
გურჯებთან ბრძოლის მიღება გარდაუვალი გაუხდა.

მაგრამ რა ექნა?! მოტყუვდა, დაებნა ანგარიშები,
ვერ უშველიდა ურდოში გამეფებული შიშები.
ამიტომ ჯარი დააწყო, კალიასავით მრავალი,
დღეს მხოლოდ მათი სიმრავლე იქნება გამოსავალი.

შესძახა: – ყველამ მისმინოს! გურჯის დროშები ახლოა.
მათ უკან მათი სამშობლო, ოჯახთა სამოსახლოა!
ამიტომ გულით იომეთ, თქვენ წინ ვეფხების ჯარია,
იმათი მეფე გიორგი თემურთან ნაომარია!

დიდი აქვს თითო მეომარს ომებში გამოცდილება,
იმათ ვერცერთი თქვენგანი სახელს ვერ შეეცილება.
ამიტომ მიდით ას-ასი, თითო მოიგდეთ ალყაში,
დღე სიბნელემდე გალიეთ, ხორცის და ძვალის ნაყვაში!

ჩვენ რიცხვით მაინც ვაჯობებთ, ხუთიათასი ხმალია,
სასწრაფოდ უნდა გავჟლიტოთ, მოცდისთვის სადა
გვცალია?!

წინ გველოდება თბილისი, მდიდარი ქართლის ველები,
გურჯებს აღარ ჰყავთ ნაომრებს ამ ჯარზე მეტი
მცველები.

დავიბანაკოთ მტკვრის პირას, ყველგან გავშალოთ კარავი,
არ დაგვრჩეს სადმე დიაცი, ან ბავშვი მოუპარავი!
უსუფის მოწოდებაზე ურდომ იშიშვლა მახვილი,
მეფე გიორგის ყურს მიწვდა, იმათი ამოძახილი.

დაქვეითება უბრძანა მხედრებს შორ გზაზე ნამგზავრებს,
გიორგის წინათგრძნობა აქვს, მაგათი ხვედრი ადარდებს,
მისი მამაცი ვეფხების, სისხლში და ცეცხლში გასულთა,
სიკვდილის პირას მდგომელთა, აწმყოთა, მალე
წარსულთა.

იცის, რომ ვერ მოერევა, ურდო ხომ დიდზე დიდია,
რომ ქართლის ხვედრი ამჟამად, ხუთიათასზე ჰკიდია.
თითომ რომ ასი გაჟლიტოს, მეორე ასი წამოვა,
ამიტომ საღად შინ მისვლა ამ ბრძოლიდან არ გამოვა.

ამადაც უნდა ეკვეთოს, გაუნახევროს ლაშქარი,
გადაავიწყოს დღეიდან, რომ საქართველო აქ არის,
აქეთ მოხედვა შეძულდეს, სხვაგან იპოვოს სადგომი,
წლებია არ გვღირსებია მშვიდობით მოსვლა აღდგომის!

ქართლს მოსვენება სჭირდება, მშვიდობას ისევ ზვარაკი,
დიდი მამების ნაცადი, სიცოცხლის ბოლო არაკი,
სიკვდილზე წასვლა ერისთვის, სარწმუნოების
გულისთვის,
სისხლისღვრით გადარჩენილი ქრისტიანული სულისთვის.

– ქრისტეო, ჩემო უფალო, ათასჯერ გადამრჩენელო,
ჩემი მცირედი ღვაწლის და თავგადადების მხედველო,
ამ ერთხელადაც მომხედე, სისხლში ვარ დაბერებული,
ომით დამენგრა სამშობლო, შენებით ვერ ვარ ქებული.

მთელი ცხოვრება ომია, ლენგთან კირთებამ გამლია,
მე ჩემთვის არ მიცხოვრია, ლხინისთვის არ მიწამლია.
აქ ნუ დამტოვებ, უფალო, მიიღე სული ზვარაკად,
ვიცი, აქ ცოტა მახსენებს, ლეგენდებად თუ არაკად.

მარადჟამს განმიკითხავენ, ეს უმადური ღვაწლია,
იკამათებენ ერთურთში, საუბარს არ დააცლიან.
ნგრევის ეპოქა ასეა, მეფეს ბრალდება ყოველი,
რომ ალავერდი დაინგრა, დაინგრა სვეტიცხოველი...

„ხეიბრის“ რვაჯერ ნახმლევი, არასდროს დაავიწყდებათ,
დამნაშავე კი ყოველთვის, გიორგი მეფე იქნება.

*
უთანასწორო ბრძოლაში ერევნის ახლოს დაეცა,
მთლად სისხლში იდგა ყელამდე, სიკვდილის სუნი რა ეცა.
მრავალი ჰყავდა მოკლული, თავი არ ეზოგებოდა,
რამდენჯერადაც კვდებოდა, იმდენჯერ იბადებოდა.

როგორც ბალახი ჩათიბეს, თურქმანი შავბატკნიანი,
თვითონაც იქ დაიხოცნენ, ომი მოიღეს სვიანი.
ურდო შეჭამეს ცხვარივით, ჩამოალეწეს ღრჯოლები,
მკვდართა გორები დაყარეს, ჩანაჩეხ-ჩანაწოლები.

და როცა ბოლო ქართველმა, ცაში წაიღო წერილი,
მოუსავლეთში გაბრუნდა, ურდო ყველასგან დევნილი.

(დიდება მათ სულებს ვინც იქ დაეცა 1407 წელს!)

10 დეკემბერი 2024 წლისა

ფახრ-ად-დინ გორგანი



რედაქციისაგან: მწერალი ანზორ სიფრაშვილი აგრძელებს დიდი სპარსელი პოეტის ფახრ-ად-დინ გორგანის ცნობილი პოემის „ვისრამიანის“ ქართული პოეტური ანალოგის შექმნას. „ვისრამიანი“ მეთორმეტე საუკუნეში ითარგმნა, თუმცა პროზაულად და ახლა ანზორ სიფრაშვილი მას ლექსად ამეტყველებს ქართულ ენაზე. „ვისრამიანი“ მსოფლიო ნაწარმოებადაა აღიარებული და მისი ლექსითი ვარიანტი ამ უკვდავი პოემისთვის ახალი სულის შთაბერვის ტოლფასია.

რედაქციისთვის სასიამოვნოა, რომ სწორედ ჩვენი გაზეთის ფურცლებია მოწმე ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოების ქართულ ენაზე პოეტურად დაბადებისა.

წინა თავების მოკლე შინაარსი: მას შემდეგ, რაც ვისი მარავის ხელმწიფის, მოაბადის ცოლი გახდა, იგი მეფის ძმას, რამინს, შეუყვარდა. რამინის მხრიდან მრავალგზისი ვედრების შემდეგ, ვისისაც შეუყვარდა იგი, თუმცა ეს ამბავი მოაბადმა მალევე შეიტყო და საშინლად განრისხდა.

ვისრამიანი

მოაბადისაგან ვისის წამოყვანა და მარავს მოსვლა ხორასანსა

ხორასან ჰამო ქვეყანას გვიქვია ფალაურადა,
მჯობია ყველა მხარისა, არცა რომ ღირან ფლურადა,
ნაყოფით სავსე ხეებით, იზრდება თუნდ ველურადა,
თვით დარწმუნდება, ვინაცა ჩემს სიტყვებს იღებს ყურადა.

სპარსეთის მთელი დოვლათი ხორასანისაგან მოვიდეს,
ჰამო მიწით და წყალითა, არვისგან არას თხოვიდეს,
უწმინდესია ჰაერი, მთლად იშვიათად თოვიდეს,
რა შევაქებდე, ვედარო მას დიდს მგოსანსა ოვიდეს.

მაგრა მარავი-ქალაქით კეკლუცობს ხორასანია,
ესრეთ ლამაზი და ჰამო, ვითარ მაისის მწვანია,
კაცისა განსასვენებლად იგ სამოთხისა მგვანია,
სულისა მიმტაც ოაზისს ქედსა უხრიან მთანია.

რა შემოიქცა ეტლითა მოაბად ქოისტანითა,
მარავს მოვიდა, კოშკსა ჯდის, სურს გადიხედოს ბანითა,
ველსა უჭვრეტდა თვალითა არნივის მისამგვანითა,
ვითა სოლომონ, ტკბებოდა ხეთა მოხდენილ ტანითა.

გვერდსა მოესვა მოაბადს ვისი–ძვირფასი ცოლია,
ლაღობამა და სიცილმა ხელმწიფე აიყოლია,
ვისისა უთხრა: „–ინახვენ, ველნი მაგ ღაწვთა ტოლია,
შენსა პირისებრ ვენახნი მშვენებით მიმოწოლია.

წყალი და მიწა, ბოსტანი, ველნი, წალკოტნი, მთა-ბარი,
ღმერთმა ედემი მკობილი მარავი მე მომბარი,
რომელ გირჩევნის, მთვარეო, რად არ სთქვამ, არ დამაბარი,
მაჰის ქვეყანა გიჯობს თუ მარავი, ედემს მდაბარი?

მე მირჩევია მარავი, ქვეყანა მგვანი ცისაო,
მასკვლავებით რომ შემკულა, ღმერთმან სამოთხედ ჰყვისაო,
ღმრთისა წყალობით სავსეა – მარავზე ეს ითქმისაო,
მაჰზედა უამესია, ვითარც შენ – ღიმისაო.

მაჰისა მსგავსი ქვეყნები ბევრი მაქვს საკუთარადა,
მათი ზემდგომნიც ვიროსებრ ბევრნი მივიან ჯარადა,
ვითა მარავი მაჰსა სჯობს, ბუნებითა თუ დარადა,
ეგრე ვსჯობივარ ვიროსა, ხელმწიფობით და გვარადა“.

ესრეთ საამო კითხვასა უპატიო და ურიგო
ვისმა პასუხჰყო იმგვარად, რომ ვერც რას ვერ გაურიგო,
რომცა გინდოდეს ამგვარ თქმებს წყალობა ვერ დაურიგო,
ვერცა მწყობრს რასმე ჩააგდებ, მუდამ იქნების ურიგო.

მას მიჯნურობამ შემატა ძალა, გახადა ლომია,
გაჯიუტდა და გაჯიქდა, თავს იდო ქმართან ომია,
არ შეიცვალა გუნება, ვით ვირი სახრის მდომია,
ეგრე მიუგო მოაბადს, ავთა სიტყვათა მწვდომია:

„ჰე ხელმწიფეო, მაჰიც და ესე მარავის მხარეცა
ჰამოა?– გიბედნიეროს, ესეც და სხვაცა არეცა,
მე აქ მხოლოდა პყრობილვარ, ნაღველმა გული დარეცა,
ბადესა ბმულსა ნადირს ვგავ, ერთია ტკბილიც, მწარეცა.

ჩემსა სანუკვარ რამინსა შენს გვერდით რომ არ ვხედავდე,
ჩემს გულის კარის გახსნასა მისთვის რომ არა ვბედავდე,
მაშინ ვარჩევდი ჩემს ნაცვლად ჩემსა კუბოსა სჭედავდე,
მე მხოლოდ მისთვის ვცოცხლობ და მისსა სახელზე სვე დავდე.

მაგრა თუ მას არ ვნახვიდე, არც ერთი არად მიგია,
სხვაგვარ რად მინდა სიცოცხლე, უმისოდ მე წამიგია,
მას ვანაცვალე მე გული, კოშკები მისად მიგია,
ის ჩემთვისა და მე მისთვის, სხვაგვარად მახე მიგია.

იმ მეწალკოტეს ვედრები, რომელს დაურგავს ვარდია,
ეკლის წინ მუხლზე დავმდგარვარ,
სხვა დროს ცეტი და მარდია,
მას ვევედრები კოკორსა, ქარზე რომ დანავარდია,
რა წამს იმ ვარდსა დავყნოსავ, აღარ მექნება დარდია.

უწყოდე მე შენ რამინის გზებითა შეგეპოები,
ჩემი გული მას უპყრია, არს მისი მასათნოები,
ვიქნები მისი მომგონი, თუნდ დავრჩე ნასატრფოები,
მას ჩემი თავი ეკუთვნის, მისი ვარ დასატკბოები“.

რა მოისმინა ამგვარი პასუხი ნაბორგალია,
შაჰი გაწითლდა, გაყვითლდა, მოედო ცეცხლის ალია,
გულსა ისარი დაესო, გაშმაგდა ვითარც მთვრალია,
ჯავრისგან ესრეთ ათრთოლდა, დაკარგა თავ-გზა-კვალია,

ვისისა მოკვლას ჰლამობდა, დარჩობას თავის ხელითა,
ჯავრის ამოყრა იფიქრა მყისვე გულითა ცხელითა,
გარნა ცნობითა შეჩერდა, არ ავად გასამხელითა,
კვლა სიყვარულმა დარია თავისი საწნახელითა.

მოაბად ესრეთ იქმოდა: გაწყრის – მყის მოდის ცნობასა,
რა ფიცხელ გულზე შეიქმნას – თავს აღწევს უგონობასა,
მისსა სიკუშტის ცეცხლზედა ღმერთი იწყებს წყლის მხობასა,
აწცა სთმო უგუნურება, არ ფიქრობს უღონობასა.

ადამის ძეთა სიცოცხლე ღმრთისგან ეძლევათ მადლადა,
კაცმა წარსტაცოს – სანაცვლოს ის რას მიაგებს ბადლადა?
სანუთროს ნამსაც ვერ მისცემს, გზას ვერ დაუგებს ადლადა,
ნუ მოინდომებს – ვერ იზამს, ამაოდ ნუ იქმს ქადლადა.

ღვთისაგან მადლით ცხებულსა, თუ თავად ღმერთი იცავდეს,
ვერავინა სძლევს მტერთაგან, რაც უნდ გულოვნად ჰფიცავდეს,
ლომის ჭანგთაგან თავს იხსნის, გაექცეს, მინდორს კვიცავდეს,
პილოს ხორთუმს თავს დააღწევს, სჯეროდეს, არ ვინიცავდეს.

რადგან გონებას მოუხმო – შაჰი ასცილდა ცოდვასა,
ვით ადრე, ახლაც არ ენდო ის ეშმაკისა ბოდვასა,
ფათერაკს გადაურჩა და თავისივ გულის კოდვასა,
ვთქვა, კეთილს საქმეს იქმოდა, ვითა ოქროსა ზოდვასა.

ვისი კი იყო ვითარცა ნაოხარ-ნაპარავია,
ოდეს საქონელს დამალვენ, გინდა ხბო, გინდა კრავია,
ყოველთ კაცთათვის შეკრული, ნესტვი რამ დაუკრავია,
მარტოდენ რამინისათვის გახსნილი, ვით კარავია.

მოაბად აშფოთებული დიდხანს წყრებოდა ბრაზითა,
სურდა გაერთვა ღაწვ-თვალნი ვითარც ავაზამ გაზითა,
აწ ვინ მოსთხოვდა საამო სიტყვანი ეთქვა საზითა,
არად მიაჩნდა აწ ვისი მისითა სილამაზითა.

გარნა ცნობამა მორია, ვისს ავი უყო აღარა,
მაგრა გინება დაუწყო, სიტყვა ლანძღვითა დაღარა,
უთხრა: „–ჰე, ძაღლის შექმნილო, არარა გესმის საღ, არა,
ბებლთა და გრძნეულთ გაზრდილო, ვერ შეიფერე ბაღ-არა.

წელნიმც მოსწყდების შაჰროსა, მას შენსა დამბადებელსა,
სახლიმც მოოხრდის ვიროსი, შენებრის გვარის მდებელსა,
შენებრ უსჯულო ქმნილისთვის სიცოცხლის მომნიჭებელსა,
იგი სხვას სისხლსა ვერ მისცემს, თუ არ ეშმაკის მხლებელსა!

გველსა რაიცა ეშობნეს – იგი მხოლოდღა გველია,
ავისა ხისა ნაყოფი მწარეა, პირის მწველია,
ადრაბად, ფაროხზად, ვირო, მრავალი სხვა სახელია
ყველას მამა გყავთ ერთი და ერთიცა გზრდითათ ხელია.

შობილნო თქვენ ბოზთაგანა! გაზრდილნო გრძნეულთ მიერო!
შენ ყველას აღემატები, უსირცხვილოვ და ცბიერო!
ჯიმშედის გვარსა განთქმიდი, გეტყოდი: მთვარევ ციერო,
თუმც მოაყივნე მის გვარი, აწ გეტყვი: ტალახიერო.

აწ მომიცია სამი გზა, საითაც გწადის წახვიდე:
ერთია გზა გურგანისა, ქვეყნის კიდესა ახვიდე,
მეორე დევმანდისა არს, იქ წასვლას დაისახვიდე,
მესამე ამიანისა, ნაივანდს დაინახვიდე.

აწ დაე იქა წაშავდი, რომელსაც გზასა გწადია!
წინაპრად გყავდა მაცდური, დევ იყო შენი გადია,
წინ გელის გზა ნაოხარი, უწყლო, ქვა-კლდისა მბადია,
წვეთსა წყალს ვერსად წაწყდე, რომც წავლო წელინადია.

ველნი-სავსენი ხვლიკითა, დრკუთი და მორიელითა,
მთა თოვლით, მისი ნაჟური სამსალით ცარიელითა,
უბალახონი მინდორნი უთვალავითა გველითა,
დღისით რომ ლომით დაგხვდების, ღამით კი ტურა-მგელითა.

ბოზო, წყეულო, ნეტავი რა გაჩნდი ესრეთ ურჩია?
ძაღლი ეშობა შენს შობას – შაჰროს რად არვინ ურჩია?
რა გაჩნდი – ყველას ჭირსა სცხებ, მეც კი ვერ გადავურჩია,
ღმერთიცა გრისხავს, ნეტამც მის რისხვასა არ დაურჩია!

მოაბადისაგან ვისის გაშვება

შვენებით უაუგოსა ვისსა რა ესმა ბრძანება,
რაცა მოაბად უბრძანა – ტირილსა თავი ანება,
გამხიარულდა, შეიქმნა პირის ვარდისა გვანება,
თაყვანი სცადა და წამოსვლის აღარ დაიწყო ხანება,

გასწია თავის ძიძისკენ, მიდის და მიუხარია,
უთხრა: „–წაე, ჰე ძიძაო, სწრაფად სვლას ნუ იკმარია,
სამახარობლო მოსთხოე შაჰროსა, იყავ ჩქარია,
ვიროსაც გაახარებდე, საქმე ისე კარგ არია.

ვიროს ეტყოდე: „იხარე, მოვიდა იგი და შენი,
აწ მისთვის, შენ რომ უყვარხარ, მაღალი კოშკი აშენი,
ყოველი კარგად დაუჯდა, ვით ნარდსა შიგან შაშენი,
აჰა, ვით ცად მზე მოვიდა, ამშვენებს ვისს მარმაშენი.

რას არ ელოდი – ის მოხდა, აქა საეჭვო რაღაა,
აწ მარტოობა გეშორა, თვით ბედი გაგელაღაა,
თუ გეცვა – დე, გაიხადე, უიმედობის წაღაა,
იქით მიმართე ეგ ცხენი, სად სიხარულის თაღაა.

ეგრეც უთხარი: ხორასნით აწ მოჩანს ორი მნათია,
ერთი ცაზეა, მეორემ ღამე ტანჯვითა ათია,
დღეს შენთან მოდის, მიიღე, სიკეთის გაქვს საათია,
თუ რამ წყენა გაქვს, მიაგე შენ უკეთესის ქმნათია.

დედაჩემისკენ გასწიე, ცხენსა სულ მიაჭენებდე,
მოჰფინე მას სიხარული და ესრეთ მოახსენებდე:
„მზე ვეშაპისგან დაეხსნა, მის ტანჯვას არ იხსენებდე,
მისსა ბედს გაუღვიძია, აწ კოშკებს აიშენებდე.

მან თვალმან პატიოსანმან იპოვა თვისი გვარია,
ღმერთმან დაგვიხსნა ჭირისგან, მოაბადი რომ არია,
აწ ყველა დარდთგან ხსნილი ვართ, თუკი არს ამდაგვარია,
აწ კი გაფრთხილდი, მისნაირს ნუღარა კვლა მიმგვარია“.

ბოლოს ეახლა მოაბადს კმაყოფით და მოახსენა:
„–ჰე, უმაღლესო ხელმწიფევ, ვინ აგრე წყევლით მახსენა,
ღმერთმა სიკეთე მოგაგოს ეგ კრულვა რომ გაგახსენა,
ბედი მქონია რომ ბოლოს მერგო მე შენგან დახსენა.

იხარონ შენთა მოყვარეთ, მოგშორნეს შენი მტერია,
ვიდრე ცოცხალვარ – დაგლოცავ, ვით ღმერთს ილოცის ბერია,
ესდენ კეკლუცი შეგერთოს, ვინ თქვენი შესაფერია,
ასი მხევალი ჩემებრი ჰყავდეს ვით ასი ფერია.

დე, მტერმან შენმან ნახოს და დაბრმავდეს მწარის შურითა,
ქებული გვარიანობით, ამო თვალ-ბუდეშურითა,
წყნარი, ფაქიზი, ვიდოდეს კაბისა შარი-შურითა,
ვუწყი, ხელმწიფევ, მის ტრფობას არასდროს დაიშურითა.

ყველასთვის იქნეს იგი მზე და სული – მთლად საყვარელი.
მე კი აწ მხიარული ვარ, ესრეთ ვთქვა, შენ რომ არ ელი,
უჩემოდ ღმერთმა დიდება მოგცეს შენ გაუმწარელი,
არ ვახსენებდეთ ერთმანეთს, არ ვიყოთ გაუხარელი“.

ადგა ვისი და კლიტენი მოაბადს ხელთ მიათვალა,
თან მოახსენა: „–ნახე სხვა, არ უსახური-ართვალა,
სხვასა მეჭურჭლეს შეჰვედრენ, იქნებ მან უკეთ გათვალა,
მას, ჩემზე უკეკლუცესსა, ვინ შენმან გულმან ჩათვალა.

ის იყოს უერთგულესი და ჩემზე უკეთესია,
მე კი უშენოდ მომემკას რაც ოდენ დამითესია,

ზურაბ ფორჩხიძის
ილისტრაცია

ნურა დამაკლდეს მარტოსა რაიც საწუთროს წესია,
შენც უჩემოდ არ გიმძიმდეს, კარგად გაგეკრას კვესია“.

ესა თქვა, და თაყვანი-სცა, დასტოვა და წამოვიდა,
ყველა მონა აზატადქმნა, ისიც, – ძუძუს ვინც სწოვიდა,
რაც ვინ ჰყავდა მას ნასყიდი, ვის ოდეს სად იშოვიდა,
ყოველი ათავისუფლა, არვის არ დაიტოვიდა.

ვისმა რა დასთმო დარბაზი – გამოხდა ხმა ტირილისა,
ირგვლივ დაბნელდა, დაღამდა, იყო მოფენა ჩრდილისა,
შაჰთანა მყოფთა დედათა იწყეს ნატვრა მზის თბილისა,
ყველა დაღრეჯით შეიქმნა, მსგავნი არიან ჩვილისა.

კოცნით გაშორდნენ ვისისა, არ დაეთმობათ ერთ-ურთი,
მრავლისა თვალი სტიროდა, ყელსა გასჩრიათ მათ ბურთი,
მრავლისა გული იწვოდა, სომეხი იყო, გინდ ქურთი,
ვისისა ვერ სცილდებოდნენ, არავინ იყო მანქურთი.

ქალნი და კაცნი იგლოვდნენ, რამინ ყველაზე ბრალია,
რამეთუ მიჰხვდა ცნობასა, სისხლი გაუხდა მზრალია,
ვით თავკვეთილმა ფრინველმა დაიწყო ძირს ფართხალია,
მერმეც, რა სულად მოიქცა, კვლა დარჩა ფერნამკრთალია.

გულის ტკივილს და ვაებას ის ვერსად
გაექცეოდა,
ვისისა მოგონება მას სამსალად გადექცეოდა,
შეჭირვებას და წუხილსა, ვით მთას, ქვეშ
მოექცეოდა,

გალომანი სინანულისანი

◀ დასაწყისი გვ. 1

წიაღმოვალს, ღმრთისმეტყველთაებრ,
და ცოდვილთა მოქცევასა
ანიშებ მის მიერ, ვითარცა ცხადჰყოფს,
თეატროჲ იგი მრჩობლთა სოფელთაჲ,
სიკეთე ეგვიპტისაჲ, ღირსი მარიამ.

გალობა მეცხრე

ჟამი რაჲ წულილთა და ხმელთა აღმოფშვნვათაჲ წარმოდგეს,
ზარი მეფობისაჲ წარხდეს და დიდებაჲ დაშრტეს,
შუებანი უქმ იქმნენ,
ყვავილოვნებაჲ დაჭნეს,
სხვამან მიიღოს სკიპტრაჲ,
სხვასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!
გან-რაჲ-ეღოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა
და მე ქედდადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად,
მსაჯული მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვაჲ ქროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!
ვანაჲთგან აღსარებით გრძნობად და შეკრებად იწყო
ძვალი ძვალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა,
და განხმელთა მოჰბერა
სული კვალად შობისაჲ,
მწრამს, ვითარმედ აღვსებაჲ
სრულყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისაჲ!
მარტიო, სრულო, სამმზეო, ერთ ცისკროვნებაო,
განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაჲთა
გიხილო ნათელი
ნათლითა უფლისაჲთა,
სულითა ღმრთისაჲთა,
გამოგვიბრწყინვო მაშინ
დაუსრულებელთა საუკუნეთა.
არაჲ უხილავს მზესა ქალწული დედაჲ თვინიერ შენსა,
არცა ჩემოდენ ბრალეულსა – ნათელი მისი,
გარნა მე შენითა
ოხითა, დედოფალო,
ვესავ ხილვად ნათელსა
ძისა შენისასა
და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა.

„ქართული მწერლობა“, ტ. 2 გვ. 198
1. თავების ნუმერაცია დაცულია

ცრემლი, თვალთაგან ნაწვიმი, ღვარებად
ძირს ექცეოდა.

კვლა ავად გახდა რამინი, კვლა იპყრო მიჯნურობამა,
ისრეთ დასუსტდა, ვით იცის ქვეყნად სიცოცხლის ქრობამა,
უმეტეს ადრინდელზედა უმტყუნა ნაკვთა წყობამა,
ისე სტირს საყვარელზედა, ზოგჯერ დასტოვის ცნობამა.

მუდამჟამ ვისსა ეძახდა, თვის გულსა ეურჩებოდა,
ღამით თვალთ ვერ დაიხუჭის, მზერა ხსოვნაზე რჩებოდა,
ზოგჯერ გადიწყვეტს იმედსა, არ სწამს თუ გადარჩებოდა,
ამა სოფლისა სიკეთეს ის არას გამორჩებოდა.

ეგრე თქვის რამინ: „ჰე, გულო, ვისსგანა უღონო-ქმნილო!
ჩემს ტანს და სულსა შავად ჰფერ, ძველებურად ვერ მოქნილო,
მიჯნურის დაღი დამადე წუთისოფელო გაქნილო,
ნათელი დღე გამიშავე, შენ, სისხლში შხამად გაქნილო,

შემცვალებია ჭირადა რაც მქონდა სიხარულია,
სიცილი მექცა ტირილად, გულსა დამედო წყლულია,
სიმართლე სნეულებად მაქვს ჩემს სულში დამალულია,
ისრისებრ ნაკვთი შემქმნია ვით მშვილდი მორკალულია.

გვაჩნევს უმოყვროდ სიცოცხლე სიმწარეს მიჯნურობისა,
ერთ წამს უმისოდ ვერა სძლებ, გიხარის წყარო თრობისა,
ან უმისოდ ვით ეგების? არც გსურს უფლება თმობისა,
უმისოდ დია ჭირს ნახავ, თუმც ეს ჭირია ტკბობისა.

უმისობით სჭამ ნავღელსა, გულო, მას მოიგონებდე,
გახსოვდეს მარტოობისა სიმწარე, ვალად ჰგონებდე,
მიეჩვიოდე გაძლებას ჭირისა, შენად ჰქონებდე,
რამეთუ ბედმა გაგყარა მას, ვისაც უნდა ჰმონებდე.

წავიდა შენთვის ვარდისა ჟამი მთლად სურნელოვანი,
ჩამოდგა ჟამი ეკლისა, მავნეა და წყლულოვანი,
ყოველი დასთმე, შენ, გულო, აწ გელის მხოლოდ გლოვანი,
თუ რამე დაგითესია, აწ მომკე ავმარცვლოვანი.

გულო, ვით მოისვენებდე შენ მისსა უნახავადა!
თვალო, სისხლითა ცრემლოდე ჩამომდინარით შავადა!
ველარა ნახავ საყვარელს, არ მოგხედს ისე წავა და
რაც უნდ ეძებო, ვერ ჰპოებ თუნდ წუთით სანახავადა.

გულო, მართალ ხარ, იგლოვე, ღაწვთ ჰბანდე ცრემლით ცხელითა,
შენ იქმენ ჩემად მესისხლედ, როს თავს დამადეგ ცელითა,
შენ იგრძენ მისი სიტურფე, პირმზისა საროწელითა,
მიჯნურობის ჭირს ჩამაგდე, დამწვი ტრფობითა მწველითა.

თვალო, რასაცა უჭვრეტდი მზე მასთან რას მოვიდოდა–
იყო მნათობზე ნათელი, ძირს, მიწაზე რომ ვიდოდა,
აწ წუხდე – ველარ განიცდი რას გული არ ირიდოდა –
მას-მზესა, რომელს ვერავინ ვერცა ფლობს, ვერც იყიდოდა.

რად გინდა ქვეყნად სიცოცხლე თუ ვისი არ გეყოლება,
მის გარდა არვის არ უნდი, არავინ არ გეტოლება,
მხოლოდ ერთს მას ეთნეოდი, მხოლოდ ის გეიოლება,
სხვაგვარად, გულო, რამინი მოკვდება, ჩაიქოლება.

ვფიცავ, თუ ვისის ვერ ვნახავ, იმედი თუ გადმიწყდება,
არც მზეს ვიხილავ, არც მთვარეს, დე, სული ნუ წამიწყდება,
არცა კარგს ვიტყვი, არცა ცუდს, ხმა ჩემი ყველგან მიწყდება,
არარას ვაქნევ, გულისა ძგერაცა თუ შემიწყდება.

თვით ამოვიყრი ჩემს თვალებს, ვიქნები დანაბრმავები,
თუ ვისს ვეღარ ვჭვრეტ, დე, მზერას მეფარნენ ფარდაგ-შავები,
ჰე, ბედო, დაბნელებულო, ეს რა მახესა გავები,
უჯუფთოოდა და უმოყვროდ ვგდივარ, მკორტნიან ყვავები!

ჰე, საწუთროო მუხთალო, რა ჯავრი ჩემი გქონია,
შენ მომეც მე სიხარული, გარნა შეგშურდა მგონია,
შენავე უკან წაიღე, ვით ჩემი აზრი, გონია,
უგრძნეულოდა გაგვყარე, წაგვართვი ძალა, ღონია.

თუკი მუხთალი არა ხარ, თუ არ გაქვს ავი სურვილი,
როს წყაროს პირას მამყოფე, რად არ მომიკალ წყურვილი,
მას მამჯობინე, ვაებით ვინც კი ყოფილა ურვილი,
თუ არის ვინმე ამ ქვეყნად, არ იყოს შენი მდურვილი“.

ესეგვარს რამინ საბრალოდ თვის გულსა ეუბნებოდა,
ტიროდა, ცრემლი სდიოდა, ვითარცა თოვლი – დნებოდა,
სურდა გულისა მოგლეჯა და მიწად ჩაიქნებოდა,
თავი სიკვდილად ეღირა, თავისთავს არ ეთნებოდა.

ფიქრობდა, როგორ დაეხსნას ვაებას მარტოობისა,
რაღა საქმენი იღონოს, რომ კვლავ დრო ნახოს ტკბობისა,
ვითა დაეხსნას ბადესა ვაების, უბედობისა,
რომ კვლა არ იყოს ბედნავსად, იცილოს ჟამი გმობისა.

და მერმე შაჰსა მოაბად მან მიუგზავნა მხლებელი,
აუწყა: „მეექვსე თვეა ვარ მე საწოლსა მგდებელი,
შემყრია სნება ფარული ყველაფრისა წუნმდებელი,
აწ ცოტა ძალი ვიგრძენი სიმრთელის მაუწყებელი.

ამად ცხენს არა ჯდომილ ვარ, არ მცმია მე აბჯარია,
ცხენი დახამდა, ქვე დაბმით ძაღლი დარყვნილნი არია,
ავაზა ბიჯსა ველარ დგამს, გასუქდა, არგამხდარია,
ქორნი ფრთათ ვერ ატოკებენ, დაკარგეს თავის გვარია.

მეცა მომწყინდა ქვე-წოლა, მინდა საითმე გავწიო,
ამულს, გურგანს და სარავსა, რომ ნადირობა გავწიო,
დავხოცო ნადირ-ფრინველი, იმდენი, რომ ვერ ავწიო,
ისევ შენს წინა მოვიდე, ცხენი შენს ცხენსა დავწიო.„

ოდეს მოაბადს ასმინეს ესე ძმის მოციქულობა,
მიხვდა რაც ჰქონდა მას გულში, რისი არ სურდა თქმულობა,
შეატყო უვისობითა რამინს აქვს გულნაკლულობა,
მით ყოფნა შინ არ შეეძლო, ამად შეჰყრია წყლულობა.

მაშინ მოაბად დაუწყო ძმასა წყევლა და გინება,
ეგრე თქვა: „შენი სიცოცხლე სჯობს ღმერთმა თუ არ ინება,
ნუცა წაღმართად ყოფილხარ, ნურც მოგცემია ლხინება,
ღვთით წადი, მოხვალ ნუღარა, ვფიცავარ არ მეწყინება.

ნუცა სიმთელე გქონია და ნუცა გამარჯვებანი,
წასულხარ, სადაც გწადია, ქვესკნელდეს გზათა წყებანი,
ვერ ხვდები, რომ გრძნეულებით უნდა ვისს შენი ხლებანი,
შეგიწირია იმისთვის შენი თავი და ვნებანი.

თუ არ გსურს შეგხვდეს ავი ზნე და იმან თანა წაგიღოს,
რომ ჯოჯოხეთი იცილო, რომ მან პირი არ დაგიღოს,
რადგან ავ თესლის ნაყოფმა თავი რა ერთხელ აგიღოს,
არ მოისვენებს, ეცდება სატკივარს თავი ჩაგიღოს.

ვიცი, რაც გითხარ, არ მოგწონს, გაბრაზებს და გემწარება,
მაგრა უწყოდე, დრო გავა და მაშინ გაგეხარება,
მე სიყვარულით გეუბნი, თუ სმენა არ გეზარება,
თავი ანებე მაგ ვისსა, თუ გწადის რამ ნეტარება.

თუ მოისმენ და ცნობა გაქვს, შეირთე კარგი ცოლია,
ქოისტანს ნახე, კეკლუცი, იგი, ვინ შენი ტოლია,
კაცისა შვილი, მართალი, ავ საქმის არ ამყოლია,
ვინც თავის დღენი ზაკვაში ან სიძვაში არ მოლია.

გირჩევ ნუ დაეკერები ვისსა, ძიძასა მასთანა,
თუ არა, ერთხელ ინანებ, თავსა მოიღებ ქვასთანა,
ვისს გვერდით თითზე ბევრს იკბენ,
თუმც გაიხარებ სხვასთანა,
მათ იქნებ შენც შეგიწირონ, ველარ მიხვიდე ხსნასთანა.

იმ ცოლთან ყოფნით იამე, იხარე იმის გვერდითა.
შენცა და ვისიც ჩემს ნათქვამს თუ კვლავაც არ დასჯერდითა,
ჩემსა ხმალსა და ლახვარზე ცეცხლს დავაგზნებ და მკერდითა
ორივეს ერთად გამღერებთ, ვითარცა ადრე მღერდითა!

ძმამ მიყო აგრე აუგი, რად შევიბრალო იგია?
მის ორგულობას ვერ ვგუობ, მისთვის კოშკები მიგია,
აწი ვხედავ რომ მოვიდა, თქვენი სიკვდილის რიგია,
ისეთ სასჯელსა მოგაგებთ, არვის რომ არ გაგიგია.

ნათქვამს ლაღობად ნუ ჩათვლი, ვარ ახლა სწორი შმაგების,
ეს ჩემი რისხვა გეგონოს მსგავსად ხანჯალზე აგების,
თუმც ძმა ხარ, გირჩევ, ერიდე ამ რისხვის გაასმაგების,
უწყოდე, ლომსა გამწყრალსა აღარ ეამხანაგების!„

რა რამინ ესე ისმინა ბრძანება თავის ძმისანი,
რასაცა იგი ეტყოდა, ვითარცა ბრძენი მისანი,
პირში შესცინა, გული კი მან გაიხადა ქვისანი,
დიდსა საფიცრის ფიცსა სდებს პატრონი ტკბილის ხმისანი.

გულში დაწყევლა ძმა თვისი, სიტყვა კი სხვაგვარ აუგო,
დაჰპირდა რაც მან მოსთხოვა, ფიანდაზები დაუგო,
უთხრა, რომ ყოვლი ნათქვამი მან დია კარგად გაუგო:
არასდროს ვიქმო საქმესა, რომ იყოს რამ სააუგო,

ჩემს სიცოცხლეში არ შევალ მაჰისა ქვეყანაშია,
შენს ბრძანებას არ გადავალ, ღმერთი მოწმედ მყავს ცაშია,
არც ვისის ვნახავ, არც ძიძას, ამის არ ვიქნე ცდაშია,
არა მსურს მისი ხილვა და თუნდ მასთან რამ თამაშია.

მერმე ეს უთხრა: „ხელმწიფევ, შენ არ ღირსი ხარ იმისა,
შენ, მბრძანებელო ყოვლისა მხარისა და იყლიმისა,
რომ შენის ორგულობითა კეთილი მესხას წვიმისა,
არცა მე გკადრებ გასმენდე ხმას ორგულობის სიმისა.

თუკი ოდესმე გეურჩო, ვარ მე თავმოსაკვეთელი,
შენი მეშინის ვით ღმერთის, შიში მაქვს გაუცვეთელი,
ვით მას ვმორჩილობ, ეგრევ შენ, ხარ ჩემის ბედის მკვეთელი,
ყოველი დამემოწმების ჩრდილოა თუ სამხრეთელი“.

სიტყვით ეს უთხრა რამინმა, გული კი სისხლით ავსოდა,
მაგრა სხვა რამ გზა არ ჰქონდა, რომ სურვილს ის შეთავსოდა,
გული გახდოდა ბოღმის და ბრაზისა მას სათავსოდა,
ჩქარობდა ნახვას ვისისა, უმისოდ დაიხავსოდა.

პოეტურად გარდაქმნა ანზორ სიფრაშვილმა

გაგრძელება იქნება

ალახოში

◀ დასაწყისი გვ. 2

სულს ებღაუჭება; როგორც ჩანს, დავღალე და ჩემგან ნასვლა უნდა. მასაც თავისუფლება სურს. უნდა დავნებდე? გავყვე იმ კაშკაშა სინათლეს, რომელიც ნელ-ნელა ნაცრისფერდება? გავქრე? მეც ხომ ეს მინდოდა?! ახლა რატომ ვტირი? სახე ცრემლებით რატომ მენამება? ან, იქნებ, ჩემი ცრემლიც არაა? ვინ დამტირის ასე გულმოსულად? ვის ვუყვარდი ასე ძალიან? სიცოცხლეში ეთქვა; მაშინ უნდა მეგრძნო, რომ ჩემ გვერდით სხვაც იყო; იქნებ, ასე მარტოსული აღარ ვყოფილიყავი. გვიანია; თეთრი, ქათქათა სინათლეც თანდათან შავდება. დანებების დროა.

***

ისევ ისეთი სიმშვიდეა. არაფერი განსაკუთრებული. კუნთები მითრთის და ვხვდები, რომ გაღვიძებას ვცდილობ. ნეტავ გადავრჩი? თუ იმ სამყაროში ვიღვიძებ უკვე? მარჯვენა ხელი თბილი მაქვს. მარცხენა – გაყინულია. ჩემი მდგომარეობის აღქმას ვცდილობ. არაფერი გამომდის, სხეულის კონტროლი მიჭირს. ისევ შეირხა კუნთები; არ გამოსდით ნორმალურ ვითარებაში დაბრუნება. ხელი მენამება, ისე როგორც, სიკვდილამდე – სახე. ვიღაც ისევ ქვითინებდა. რაც დრო გადის, უფრო მკაფიო ხდება ქალის ტირილი. იგივე ხმაა? ნუთუ გადავრჩი? სადა ხარ ვახო, სად? ჩემს თავს ვეკითხები და გამოსავალს ვეძებ. გაახილე თვალები. დროა! ცოცხალი ხარ?! იქნებ ილუზიაა? ილუზია, რომელიც მე შევქმენი. ძლივს და ფრთხილად ვახელ თვალებს. მართალი ვყოფილვარ. მიშველეს! გარშემო ნაცრისფერი კედლებია, ზემოთ აპარატი წრიპინებს. ეს ხმა მაღიზიანებს, მაგრამ არ ვჩივი. მთავარია სააქაოს ვარ. პალატის კარი ღიაა და ექიმები დერეფანში აქეთ-იქით დარბიან. საწოლთან დაჩოქილი ქალი ტირის და ზოგჯერ მარჯვენა ხელს მიკოცნის. მისი დანახვის სურვილი მკლავს. მხოლოდ თმას და შუბლს ვამჩნევ. დედაჩემი არაა, უკვე ჭაღარა აქვს. ამ ქალის თმა კი ნაზი და მბზინვარეა; კანი გრძნობს, თორემ თითებით ვერ ვეხები. წამოდგომა მინდა, მაგრამ ძალა არ მყოფნის; არ მაქვს ენერგია. ველოდები როდის შემომხედავს. ვინაა ის, ვისაც ასე ვუყვარვარ? რამდენიმე წამში თავი ასწია და გულმა უსაშველო ტკივილი იგრძნო. ყველა უჯრედი ერთიანად გასკდა და დაიშალა. ნათია! თეატრშიც ის დამტირიდა! შემომხედა და უფრო ატირდა. ამის დედაც! გამუდმებით მისი ცრემლების მიზეზი რატომ ვარ? სახე და ხელები დამიკოცნა, გულთან ხელი დაიდო და გაიქცა. ვიცი, ექიმის დასაძახებლად, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მე გამექცა. ღირსიც ვიქნებოდი, მაგრამ მას მაინც ვუყვარდი და გვერდით მითენებდა ღამეებს. რატომ არ მიმატოვე? რატომ მიმძაფრდება დანაშაულის შეგრძნება, როცა გხედავ? ყველასთან სუსტი და უსუსური, მხოლოდ შენთან ვყოყოჩობდი. უნდა წასულიყავი! უნდა მიგეტოვებინე! დავიმსახურე. ვინ იცის, ასე რამდენ ხანს ვიყავი? ღმერთო, გადავრჩი და ის რაც უნდა გამოვასწორო, მალე ჩემ წინ დადგება. აღარ ვითამაშებ, ნარკოტიკებსაც შევეშვები. იმ ვახოს დავაბრუნებ, რომლისაც არავის შერცხვება. შემდეგ მეზობელ ლამარასაც მოვინახულებ და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შეიცვლება ყველაფერი...

ხამხეთი დატყვევებული მეფე გიორგი VIII

კახაბერ ჯაყელი

წმინდა მეფე დემეტრე თავდადებულიდან მოყოლებული, სამცხის მთავრებს ახალი პოლიტიკური ფორმულა ჩამოუყალიბდათ – საქართველოს მეფე მათი სიძე უნდა ყოფილიყო, ხოლო ბატონიშვილი მათი შვილიშვილი. ამ მრწამსით ჯაყელები კიდევ 150 წლის განმავლობაში მოქმედებდნენ.

გიორგი ბრწყინვალეს მეფობა, ჯაყელებისათვის დამოუკიდებლობის გარკვეული შეკვეცაც კი იყო, მაგრამ საქართველოს სამეფოში, მათი ძალაუფლება იმდენად გაიზარდა, რომ ისინი ბაგრატიონთა შემდგომ, პირველ ფეოდალურ სახლად ჩამოყალიბდნენ. ათაბაგის პოლიტიკური ტიტული, ფაქტიურად მომავალი უფლისწულის მამობილის სტატუსს უყალიბებდა სამცხის მთავრებს. ამავე დროს, ისინი იყვნენ სპასალარის სახელოს მფლობელნი. ბაგრატიონებთან კეთილმოყვრობა გრძელდებოდა დავით IX-ის დროსაც და შემდეგაც. საქართველოს მეფეებთან ახლო ნათესაობის, მათ შორის მეფის აღმზრდელობის პრინციპი ჯაყელების პოლიტიკური ქცევის პროგრამა გახდა.

უნდა ითქვას, რომ ჯაყელებთან დამოყვრებას ბაგრატიონებიც ესწრაფვოდნენ, სამეფოს ერთიანობის შენარჩუნების მიზნით XIII-XIV საუკუნეებში. მაგრამ XV საუკუნეში ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის ხედვა შეიცვალა. ამან სამცხის მთავრები გააგულისა! „სხვებს დაუწყეს მოსმენა და დაამხეს სახელმწიფო“ – ამბობდნენ სამცხის მთავრები და თითს თბილისისაკენ იშვერდნენ. XVI საუკუნეში, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახმა ჯაყელთა საათაბაგო ოჯახის სრული დამხობაც კი გადაწყვიტა და ამ ხედვამ საქართველოში სრული ქაოსი შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ სამცხის მთავრებთან დაპირისპირებამ, დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოს ერთიანობას. ამის გამოსწორებას შეეცადნენ XVII საუკუნის მეფეები და ათაბაგებიც, მაგრამ უკვე გვიანი იყო. სიმონ მეფისა და მანუჩარ ათაბაგის დანათესავება უკიდურესად ექსტრემალურ მდგომარეობას დაემთხვა. შემდგომ პერიოდშიც, მაგალითად XVIII საუკუნეში, სამცხის მმართველ ჯაყელებს, ბაგრატიონებთან მამაშვილური ურთიერთობა ერჩივნათ ომსა და დავი-დარაბას. სამცხის ფაშა და ათაბაგი ახმედ ჯაყელი 1745 წელს იმერეთის მეფეს სოლომონს შვილად მოიხსენიებდა და თავად სოლომონ I ახმედ ფაშას „მამას“ უწოდებდა. ხრესილის ომში დამარცხებას, ოსმალნი ახმედ ფაშას აბრალებდნენ, რომელმაც, შვილობილის – იმერეთის მეფის ხელით მოიცილა თავიდან, საკუთარი პოლიტიკური მტრები, ხრესილის მინდორზე. ბაგრატიონთა და ჯაყელთა ურთიერთ ომისა თუ კეთილმოყვრობის საკითხი უთუოდ ობიექტური რეალობიდან უნდა ყოფილიყო გამომდინარე. მრავალსაუკუნოვანი გენეტიკური ერთობით, ნათესავობითა და პოლიტიკური ძალაუფლებით დამძიმებული ეს ორი დინასტია, ისტორიის არენიდან თითქმის ერთად გაუჩინარდა. 1801 წელს გაუქმდა ქართ-კახეთის სამეფო, ცოტა მოგვიანებით რუსებმა დაიპყრეს იმერეთის სამეფო და 1828 წელს პასკევიჩმა გააუქმა ჯაყელ-ათაბაგთა ტახტი ახალციხის აღებისას, ხოლო თავად საათაბაგო ტახტი, რუსმა ფელდმარშალმა, როგორც რელიქვია, თავის მამულში – მოგილიოვში გააგზავნა.

1465 წელი, ახალციხე – ჯაყელთა დედაციხე.

„როგორც წინათ ისე ეხლაც, ჩემს საპატიო ტყვეს მიართვით ყოველი ნივთი და სასურველი, რაც კი ინებოს, ირმის მწვადი არ მოაკლოთ მეფე გიორგის“ – ბრძანა რაბათის სასახლეში, პაპამისის ტახტზე მჯდარმა ყუარყუარე დიდმა და მსახურთუხუცესს გამოცდილი მზერით შეხედა.

ღმრთით-კურთხეული მეფე ჩვენი, გვირგვინოსანი, თქვენთან შეხვედრას ითხოვს – ბრძანა მესტუმრეთუხიცესის გვერდით მდგარმა მაწყვერელმა ეპისკოპოსმა ამბროსიმ, რომელმაც ათაბაგს თვალი მოარიდა და სარკმლიდან მოჩინარ ამომავალი მზის სხივებს გაუსწორა თვალი.

მე ვეახლო იქით, მამაო? აქეთ მიპირებდა თავდასხმას და ამოწყვეტას! თავფარავანზე იდგა უზარმაზარი ჯარით და ახალციხეზე მოდიოდა! – დაიგრგვინა ახოვანმა და ძვალმსხვილმა ყვარყვარე ჯაყელმა ისეთი ენერგიით, რომ რამდენიმე მაშხალა მის ირგვლივ ჩაქრა, რამაც მესტუმრეთ-უხუცესი აიძულა ხელახლა დაევლო ათაბაგთა დარბაზი და მაშხალები კვლავ აენთო.

ამ დროს გრძელწვერა და უკვე ჭაღარაშეპარული ათაბაგი ანთებული თვალებით დაჰყურებდა მაწყვერელ ეპისკოპოსს, რომელიც მას უკვე რამდენიმე წელია თვალში არ მოსდიოდა. მაწყვერელმა არაფერი სთქვა. იგი ჩაფიქრებული იდგა და მზის

სხივებს მაწყვერელის ლამაზ სახეზე წმინდა ნათება გამოესახა. უდაბნოსა შინა მოღაღადეს წააგავდა მაწყვერელი სისხლით მოთხვრილ რაინდებს შორის აღმართული.

ყვარყვარე ათაბაგი, ძალითა და მხნეობით გამორჩეული მოყმე, მისი სამთავროს საზღვრების შესახებ მიღებულ მიმოწერას კითხულობდა, შემდეგ ირანის ელჩთან ჰქონდა დაგეგმილი საუბარი, მანამდე შავბატკნიანთა სასულტნოს უსტარს უნდა გაცნობოდა და შემდეგ ახალციხის ზარაფხანის მონახულებას გეგმავდა. ის, რომ ათაბაგი ვერცხლისა და სპილენძის ფულს საკუთარი სახელით ჭრიდა ქალაქ ახალციხეში, უკვე დიდ გამოწვევად ითვლებოდა როგორც საქართველოში, ისე მახლობელ ქვეყნებში.

***

დაღამდა, ახალციხის თავზე დიდი მთვარე ამოვიდა. დედობრივი სიმშვიდით დაჰყურებდა მნათობი მრავალ მთაზე და კლდოვან ბორცვზე განტოტვილ ლომსიას. ახალციხის ქვაბულში მოსვენებული ქალაქი ძილს მისცემოდა. მესხეთის ქედი დაჰყურებდა ფართო გალავნითა და მაღალი კოშკებით გამაგრებულ საათაბაგოს დედაქალაქს.

ერუშეთისა და არსიანის მთიდან შველი რომ აცახცახდება, ფოცხოვის წყლის დასალევად და მთელს თავის სიცოცხლეს მიანდობს არსთა განგებას, ისე მოუვიდა ჩვენს უბედურ მეფე გიორგის – ჩახველების შემდეგ თქვა სამთვარიოს თავზე მდგარმა მესხთა ამირახორმა და მის გვერდით, მნათობთა ცის კაბადონზე გადაადგილებით მოხიბლულ ყვარყვარეს გახედა.

– არ იცოდა რა მოუვიდოდა? რატომ გაწირა თვისი თავი და გამწირა მეც? – გამოეპასუხა წითელ ხალათში და წითელ თავსაბურველში გამოწყობილი მთავარი, რომელიც იმ ღამეს უფრო გენუელ სენიორს ჰგავდა, ვიდრე საქართველოს დიდებულს.

დარწმუნებით ვიცი, გააგიჟეს მეფე გიორგი, სამცხიდან გაძევებულმა ფანასკერტელ-ციციშვილებმა, ისინი დაუგეგმავდნენ ლაშქრობას თავფარავნის მიმართულებით, მაგრამ განა ამ უბედურებმა არ იცოდნენ, ან არ ახსოვდათ, რამდენჯერ დაგვიმტვრვრევია მათთვის თავ-ყბა, სოროდან ყოველი გამოძრომის დროს?

იცოდნენ, განა არ იცოდნენ, მაგრამ სცადეს მაინც და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამკიდეს სამეფო ოჯახს, რომელთანაც ჯაყელებს საუკუნოვანი მოყვრობა გვაკავშირებს – თქვა ათაბაგმა და ვენეციური ჭოგრიტი ცის კაბადონს მიაპყრო, კოსმოსის იდუმალ გზებს დაუკვირდა და იტალიური ნივთით გატაცებულმა ვერც კი შეამჩნია, როგორ ამოდიოდა ციხის გოდოლზე ვიღაც თავშებურული. მაგრამ მესხი ამირახორის თვალს არ გამოჰპარვია მომავალი და რადგანაც აშლილი იყო ქვეყანა, ხანჯალი ამოიღო და მუხლებზე დაიდო.

– რა ხდება ამირახორო? – ჰკითხა ათაბაგმა თავის სიყრმის მეგობარსა და თანამებრძოლს, რომლის ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა.

– სტუმარი! – თქვა ამირახორმა, მანაც საკუთარი იტალიური ჭოგრიტი გაშალა და გოდოლისაკენ მომავალი კიბე შეათვალიერა.

„ამ შუაღამეს ჯაყელთა კიბეზე ვიღაც ამოდის“ – გაიფიქრა ათაბაგმა და უმალ მიხვდა, რომ ეს მისი ოჯახის წევრი უნდა ყოფილიყო. „ვის არ სძინავს ამ შუაღამეს? ვის არ ეძინება ან ვის არ მიაჩნია მართებულად რომ ეხლა თვლემდეს? დაუსვა მან თავის თავს ეს კითხვა და იმანაც გააკვირვა, რომ კიბეზე ამომავალი მოლურჯო ფერის მოსასხამში იყო გახვეული, რომელიც იმ დროს ბაგრატიონთა სამეფო ფერად ითვლებოდა.

– ჩუ, – სალოკი თითი ტუჩზე მიიდო ათაბაგმა ამირახორის დასანახად და თავად ცის კაბადონის დათვალიერება განაგრძო.

ჩქამიც არ ისმოდა, დედაციხის გოდოლზე ამომავალი, ავაზასავით მოიწევდა, ხელთ არც მაშხალა ეჭირა და არც სანთელი, ახალციხის დიდი მთვარე იყო მისი მეკვლე და მეგზური. მართლაც გასაოცარი ვერცხლისფერი სამთვარიო ბილიკი მოფენილიყო რაბათის ციხის ყრუ კედლებს შორის, ხოლო დიდ კიბეზე მთვარე იხმობდა ყველა მნახველს, რომელსაც ამ დროს არ ეძინა და არც კი იცოდა როგორ დაეძინა.

***

რა დამაძინებს, დედოფალო ქეთაონ, როდესაც ახალციხის ჯურღმულში, დავით IV აღმაშენებლის დიდი შთამომავალი, აფხაზთა და ქართველთა, სომეხთა და რანთა, შირვანშა და შაჰანშა, მეფე გიორგი VIII გვიზის! რა დამაძინებს ჩემო დედოფალო – ჩურჩულებდა ძილ-ღვიძილში ახალციხეში შემოხიზნული ქართლელი ვაჭარი გუჯარ მამისთვალაშვილი, რომელიც დედოფალს ქეთაონს ეკუთვნოდა და ცხადად თუ წარმოსახვაში თავის პატრონს რაბათის სასახლიდან ეჩურჩულებოდა.

– გუჯარ, რას ჩუჩულებ, დედოფალთ-დედოფალი ეხლა მეტეხის სასახლეშია, შენ კი ახალციხეს ხარ შემოხიზნული.

– ხომ არ გაგიჟდი, ვის ესაუბრები? – მოისმა მისი თანამეცხედრის მარიკას ხმა, რომელიც ქმრის ჩაძინებას ელოდა, რომ ბუხარში შეშა გაეჩხრიკა და თავის ბედზე ეფიქრა.

– შიშმა შემიპყრო, ჩემო ქალბატონო, იქნება საქართველოს მთელი ლაშქარი დაგვესხას თავს მეფის გამოსახსნელად და მეც წამკვეთონ ეს დამპალი თავი, რატომ მეფე არ გააფრთხილე, რომ ყუარყუარე მის დაჭერას აპირებდაო – ამოიოხრა ვაჭარმა და ცოლს გახედა.

– რა იცოდი, რომ პატრონ ყვარყვარეს მეფე დაესხმებოდა, მაგრამ შემდეგ თავად აღმოჩნდებოდა ახალციხის ციხის ჯურღმულში? – იკითხა ბუხართან მჯდარმა მარიკამ.

– საიდან უნდა მცოდნოდა, მაგრამ თუ სამეფო ჯარი ახალციხეს აიღებს და მეც ტყვეთა შორის შემიცნობენ, როგორც მუხრანიდან სამცხეში შემოხიზნულ ვაჭარს, ყველა მსტოვრად ჩამთვლის, გესმის ქალო, რა გველოდება? მსტოვრებს კი არც კი აცოცხლებს ქართლის მეფის ჯალათი! ორთავეს ცოცხლად დაგვწვავენ, როგორც მეფის მოღალატეებს!

– სამეფოს ჯარი მოვა ვითომ აქ? – ეჭვით იკითხა მარიკამ.

– უნდა მოვიდეს, აბა რა, უზარმაზარი სამეფოს მეფე დილას მოიყვანეს მხარგაკრული და როგორც დასაკლავი ცხვარი ისე ჩააგდეს დედოციხის წინ, პირველ საკანში, რაც, ფაქტიურად, ჯურღმულია ჩემო მეუღლევ.

– უნდა იღონო რამე! – თქვა მარიკამ და ბუხრის ჩხრეკა დაიწყო, მომავლის შეცნობის მიზნით.

ჩრდილები ათამაშნდნენ ოთახის კედლებზე, გუჯარმა გარკვევით დაინახა ჩრდილთა ის ლაშქარი, რომელიც ძალიან წააგავდა ქართლის ჯარს და შიშისაგან კინაღამ გასძვრა სული.

– მოდიან? გაიღო თბილისის კარიბჭენი? – იკითხა საბრალო გუჯარმა და გრძნეულთა თანაზიარ ცოლს გახედა.

– არავინაც არ მოდის? დაბნეულობა სუფევს მეფის სასახლეში. მეტეხი შიშს მოუცავს. ყვარყვარეს მსტოვარნი თბილისში დადიან და ხალხს სხვადასხვა ამბით აშინებენ. თბილისელნი თავად უფრთხიან ათაბაგთან შემობმას. სარდალიც კი არ ყავთ. აი მხოლოდ თაყა ფანასკერტელი დგას ეხლა მეტეხის სასახლეში და დარბაზის ერს მოუწოდებს, ეხლავ გაილაშქრონ ახალციხეზე და ურჩი ათაბაგის მოჭრილი თავით დაამშვენონ ლომსიას დიდი კოშკის მოჩუქურთმებული ამბიონი!

– ვაი, ვაი, რაო, მოდიან? გამოილაშქრეს? – შეშინებული ჩაეკითხა გრძნეულ ცოლს გუჯარ მამისთვალაშვილი.

– არა მგონია, ეხლა ყველანი ზიან და შენს პატრონს, დედოფალ ქეთაონს ელიან, მაგრამ ხომ იცი? ქეთაონი ყვარყვარე ჯაყელის დიდი მეგობარია, ისინი ხომ ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან და ერთად ყოფილან გაზრდილნი. როგორ გგონია, შენი პატრონი, დედოფალი დედა, ეხლა გაწირავს საკუთარ შვილიშვილს, გიორგი მეფეს და მას, ჯურღმულში მჯდარს, თბილისიდან წამოსულ ჯარის იმედად დასტოვებს?

ბრძნულად ამბობს – ჩაიჩურჩულა წითელ მუთაქაზე მისვენებულმა ვაჭარმა და კვლავ კედელს გახედა და გაოცდა – გავარვარებული ბუხრიდან წითელი ნაპერწკლები გამოიტყორცნა, ჩრდილების ჯარი კედელზე ათამაშდა, მაგრამ უეცრად ახალი ლანდი ამოიფაფრა. კედლეზე აიწვერა ქალის სილუეტი, რომელსაც თავი გვირგვინით ჰქონდა შემკული. ეს გვირგვინი ბაგრატიონების ძველ, სამეფო გვირგვინს წააგავდა.

ეხლა ასეთებს აღარ ატარებენ ახლანდელი ბანოვნები და სამეფო ქალნი. ეს იყო იმ დროის სადედოფლო გვირგვინი, რომელიც შიშის ზარს სცემდა ძურძუკეთს, ოვსეთს, დვალეთს, ჯიქეთს, ყაბარდოს და მის შიშით ქართულად აღავლენდნენ ლოცვებს ვაინახები და იჩქერიის მკვიდრნი და რომლის შეძლებითაც ამაყად დაიარებოდნენ ღლიღვნი, ინგუშნი, ჩერქეზნი, ხევსურნი და დარიალის კარის მცველი მოყმეები! დედოფალთ დიოფალი ქეთაონი მოდის – შიშით ჩაილაპარაკა გულცეცხლით გავარვარებულმა გუჯარ მამისთვალაშვილმა და დივნიდან ჩამოცოცებულმა, აჩრდილის წინ მუხლებზე დადგომა გადაწყვიტა.

***

თბილისის ცა შავი ღრუბლებით იყო სავსე. ურჩხულებივით მოიწევდნენ ღრუბლები მეტეხის სასახლისაკენ. მეტეხისა და ნარიყალას ციხის გუშაგები ერთმანეთს ამოწმებდნენ, რადგანაც ჭორს მოეცვა ქალაქი – „ყვარყვარემ რაც მეფე ხელთ იგდო, ეხლა თბილისის ხელში ჩაგდებას დააპირებსო“. ვიღაცას უკვე ენახა ერუშეთის მთაზე გადმოსულ სამცხელთა დროშები. „ყარაიას ველზე ყვარყვარე ვნახე და თორმეტი გაშლილი დროშით პირდაპირ ავლაბარზე მოდისო“ – გაჰყვიროდნენ სომხები. ამაზე საუბრობდნენ დინჯად, ცნობილ სალაყბოში, სამხედრო საჭურვლით შემოსილი თავად-აზნაურნი, მათრახებს ატკაცუნებდნენ და მედუქნეებს დავალებას აძლევდნენ, დიღმური თათარიახნი მოგვიმზადეთო. დარბაზის ერი ცისკრის ვარსკვლავის ამოწვერვას ელოდა, რათა ყველანი ერთად შეკრებილიყვნენ სამეფო სასახლეში და ბჭობა გაემართათ. დიდმა თავადებმა, როდესაც ჩოხები აიკეცეს, გრძელი ხმლები, სახელდახელოდ გაწვრთნილ აზნაურებს მიანდეს და მუხის ხისაგან გამოკვეთილ სავარძლებზე ჩამოჯდნენ, სიტყვა წამოიწყო ორბელიანთა გვარის წინამძღოლმა თაყამ. – ვეჟო, ამ გიჟ ყვარყვარესთან ერთად, ელადის მხარეს ვილაშქრეთ წლის დასაწყისში. ბერძნებს ვეხმარებოდით ოსმალებთან ბრძოლაში. როცა ოსმალთა ჯარს გადავაწყდით, ათაბაგმა მათი წინამძღოლი ორთაბრძოლაში გამოიწვია, თავი წააცალა ოსმალს და შემდეგ ადვილად მოვიგეთ ბრძოლა.

ოთხასამდე წარჩინებული

და მისი მეულლე დედოფალი თამარ ჯაყელი

← თათარი ამოვწყვიტეთ და ბერძენთა ქალაქი გადავარჩინეთ. ყვარყვარემ ამ ბრძოლის ალაფი ჩვენს მეფეს გამოუგზავნა, რაც იმის მანიშნებელია, რომ იგი გუშინდლამდე ერთგული იყო ტახტისა – თქვა ორბელიანმა და დარბაისლებს გადახედა. ამ დროს, ალეწილი სახით, განრისხებული იერით, დარბაზში შემოვიდა მეფის ერთგული თავადი, სამცხიდან ყვარყვარეს მიერ გამოძევებული თაყა ფანასკერტელ-ციციშვილი და დარბაზის ერს მიმართა:

„თავადნო ქართლოსიანნო, მეფე დატყვევებულია ათაბაგის მიერ. ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ მეფე, ეხლავე უნდა შევესიოთ სამცხეს და დავსაჯოთ ყვარყვარე ათაბაგი!“.

– როდის მერე ეკუთვნის სიტყვა აქ სამცხიდან მოლტოლვილ ფანასკერტელს? – ხმამაღლა თქვა ორბელიანმა და ქართლის თავადებს შორის ყველაზე წარჩინებულ ლუარსაბ მუხრანბატონს მიაპყრო მზერა. მუხრანბატონი ქეიფიდან ახალი წამომდგარი იყო და თავკვერის შემდეგ, საუბრის ხასიათზე მაინცდამაინც არ გახლდათ, მაგრამ, რადგან დრო არ ითმენდა, იგი ფეხზე წამოდგა, თავისი კვერთხი ზეაღაპყრო და თქვა: – ვეჟო, ყუარყუარე ათაბაგი ჩემი სიყმაწვილის მეგობარია, ერთად ვართ გაზრდილნი მამაჩემის მიერ, შემდეგ ჩერქეზეთში გვზრდიდა კურუნტუხის მთავარი ალი, ათაბაგი ოდითგანვე მეფის ერთგული ყმაა, მეფისა და მისი სახლობისათვის თავს გაწირავს, ვიცი! მაგრამ თუ შინაური ძაღლი გაცოფდება, მაშინვე უნდა მოიკლას და თუ თქვენ მეტყვით, რომ ყვარყვარე ჯაყელი გაცოფდაო, მაშინ მე ჩემი ხელით მოვახრჩობ მას! ეხლა ეს ერი ეკუთვნის სიტყვა ალეგ სამცხიდან მოლტოლვილ ფანასკერტელს? – ხმამაღლა თქვა ორბელიანმა და ქართლის თავადებს შორის ყველაზე წარჩინებულ ლუარსაბ მუხრანბატონს მიაპყრო მზერა. მუხრანბატონი ქეიფიდან ახალი წამომდგარი იყო და თავკვერის შემდეგ, საუბრის ხასიათზე მაინცდამაინც არ გახლდათ, მაგრამ, რადგან დრო არ ითმენდა, იგი ფეხზე წამოდგა, თავისი კვერთხი ზეაღაპყრო და თქვა: – ვეჟო, ყუარყუარე ათაბაგი ჩემი სიყმაწვილის მეგობარია, ერთად ვართ გაზრდილნი მამაჩემის მიერ, შემდეგ ჩერქეზეთში გვზრდიდა კურუნტუხის მთავარი ალი, ათაბაგი ოდითგანვე მეფის ერთგული ყმაა, მეფისა და მისი სახლობისათვის თავს გაწირავს, ვიცი! მაგრამ თუ შინაური ძაღლი გაცოფდება, მაშინვე უნდა მოიკლას და თუ თქვენ მეტყვით, რომ ყვარყვარე ჯაყელი გაცოფდაო, მაშინ მე ჩემი ხელით მოვახრჩობ მას! ეხლა ეს ერი ეკუთვნის სიტყვა ალეგ

ლავე დავიძრათ ახალციხისაკენ და თავს დავანგრიოთ ჯაყელს თავისი სასახლე, ამხედრდით მთავარნო და თავადნო, გაცოფებული ათაბაგის წინააღმდეგ! მუხრანბატონმა კვერთხი ზევით ასწია და ეს უკვე მოწოდება იყო გალაშქრებისაკენ! თავადებს მოწოდებაც არ უნდოდათ, ყოველ მათგანს მტკვრის პირას, თბილისის მისადგომებთან თავიანთი რაზმები ელოდათ. რაც მთავარია, ამ უთენიას, ყოველი მათგანი ახალციხის ზარაფხანაზე და გიშრის საბადოს სიმდიდრეზე ფიქრობდა. ალიხან ბარათაშვილს, საქვეყნოდ განთქმული, ყვარყვარეს ცხენების რემა ელანდებოდა. ფრიდონ ამირეჯიბი, თვალ მარგალიტზე ოცნებობდა, რომელიც ამას წინათ, სამცხეში ნადირობისას უნახა ათაბაგს თითებზე. ამირან ციციშვილს, მამულების დაბრუნება ენატრებოდა, ქართლოს გაბაშვილს ყუარყუარეს საჭურველი იტაცებდა და ფარსმან თუმანიშვილს – მესხური კამაჩების და ასპინძიდან ცხვრის გამორეკვა იზიდავდა.

– აღმართეთ შეტევის დროშა მეტეხის გალავანზე და ყველანი ახალციხისაკენ გავეშუროთ! მოწინავე ჯარს მე წარუძღვები და საღამოს არსიანის მთიდან გადავხედავ ახალციხის სანახებს! – ბრძანა მუხრანბატონმა და ყველა შუბლი თუ ულვაში აღგზნებული ახალციხისაკენ ლაშქრობის იდეით უეცრად შედგა, რადგანაც დარბაზის კარიბჭე გაიღო და ჯვარზე დაყრდნობილი დედოფალი ქეთაონი კოჭლობით შემოვიდა! – სად მიდიხართ, თავადნო ქართლოსიანნო და დარბაზის ერო? განა ესაა ეხლა გამოსავალი, თავს დავესხათ სამცხეს? ეხლა სიბრძნით უნდა ვიმოქმედოთ, რადგანაც ყოველი თქვენი ნაბიჯი მტერს და მტრის მსტოვრებს სამიზნედ აქვს ამოღებული! კიდევ ერთი შეცდომა და გათავდება ჩვენი სამეფო. მომისმინეთ, თავადნო და დაბრძანდით, მე გამიშვით სამცხეს, მე ვესაუბრები ყვარყვარეს! მე ვეტყვი მას ყოველივეს! – ამბობდა ამას დედოფალი ქეთაონი და კოჭლობით, ჯვარზე დაყრდნობილი უახლოვდებოდა ხმალამოწვდილ დარბაისლებს.

გაკვირვებული მუხრანბატონები, ორბელიანები, ბარათაშვილები, სოლოღაშვილები, გაბაშვილები, ხერხეულიძეები, გიჟიმყრელები, ქსნისა და არაგვის ერისთავები, თუმანიშვილები, გარსევანიშვილები, ერისთავები, მელიქიშვილები, ფალავანდიშვილები, ამილახვრები, გამრეკელები, თორელნი, ფანასკერტელ-ციციშვილები, ამირეჯიბები, ტუსიშვილები, ფავლენიშვილები და ღობიარები, ბებურისშვილები, ჭავჭავაძეები, მაყაშვილები, ქაჩიბაძეები

და სხვანი უკან იხევდნენ და ჯვრის კაკუნ - კაკუნით მოსიარულე ხეიბარ დედოფალს თავს უკრავდნენ.

***

რა იყო მანამდე, არც არავის აინტერესებდა, რადგანაც ქართველნი აწმყოთი იყვნენ გულსრული. უძველეს წარსულზე საუბარი არც შეიძლება. უკვე არავინ ახსენებდა დავით აღმშენებელს და მის გასაოცარ საქმეებს. დიდგორზე თუ მიდიოდნენო 12 აგვისტოს XV საუკუნის ქართველნი? ეპისკოპოსი და რამდენიმე ასეული მლოცველი პარაკლისს უხდიდნენ თუ არა „ძლევაი საკვირველის“ გმირებს? არც ეგაა ცნობილი. თუ სწერდა ჟამთააღმწერელი თავის დროის შესახებ? სწერდა, მაგრამ ძალიან ზოგადად. „იყო, იმეფა, მოკვდა“ – ასე ლაკონურად ამკობდა ჟამთააღმწერელი იმ მეფეებს, რომლებსაც 12, 20 ან 25 წელი ჰქონდათ ერთიანი საქართველოს სამეფოს ტახტზე გატარებული! ეს გასაოცარიც არის, რადგან საქართველო ევროპული გაგებით დიდი ქვეყანა იყო, აზიურ იმპერიებთან შედარებით ეს გახლდათ საშუალო ზომის სახელმწიფო, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო კავკასიის გადასასვლელებს ფლობდა და ქართველთა თანხმობის გარეშე, არავის შეეძლო კავკასიის გავლით შავი ზღვის ნაპირებისა და შემდეგ პონტოს ევქსინოს გადაცურვით, უკვე ევროპის აღმოსავლეთ ნაწილის მიღწევა – ეს უდიდესი მნიშვნელობის ქვეყანა იყო, სავსე დოვლათით, ულამაზესი ხალხით, მამაცი ვაჟკაცებით, მშვენიერი ქალებით, ნიჭიერი ახალგაზრდობით, ნაყოფიერი მიწით, სასმელი წყლით და მათრობელა ღვინით. ამ ქვეყანაში ჰაერიც კი სასიამოვნოა

ნოში ახრჩობენ, ბოღმას სისხლში ჰბანენ და ცოდნას სასაცილოდ ხდიან. უცოდინარი ხალხი მიუძღვის ხალხს, ხოლო მცოდნე და გამორჩეული ადამიანები, რამდენიმე ბატსა თუ ინდაურს ჰმწყემსამს. ასეთია ეს ქვეყანა.

მაგრამ არ შეიძლება დავადანაშაულოთ ხალხი იმაში, რაშიც მათ ბრალი არ მიუძღვით. თუ დავფიქრდებით, მაშინ დავინახავთ რომ საქართველო, მისი მეფე და მთავრები ძალიან შეაშინა ევროპისაგან მოწყვეტამ!

1453 წელს, ოსმალთა სულთანმა მეჰმედ ფატიჰმა, რამდენიმეთვიანი ალყისა და დიდი ბრძოლების შემდეგ, როგორც იქნა, დაიპყრო მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი, მაგრამ უკვე ჩამქარალი ევროპული კერა, დედაქალაქი აღმოსავლეთ რომის იმპერიისა – კონსტანტინოპოლი.

მეჰმედ ფატიჰი, სულთანი ოსმალეთისა, ქართველი მეფეებისაგან განსხვავებით, არცთუ ისეთი კეთილშობილი გახლდათ, იგი უბრალო ხარჭის ნაშობი იყო. ბოლომდე არც კი ცნობილია, ვინ იყო მისი დედა ჰიუმა ხათუნი, რომელიც მამამისის ერთ-ერთი ხარჭთაგანი გახლდათ. მაგრამ აქვე საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეჰმედ დამპყრობელი დედას არ აღუზრდია. მისთვის დედობა გაუწევია მურად სულთანის სხვა დიდგვაროვან ქალს – ბიზანტიის იმპერატორების შთამომავალს თეოდორა მეგას კომნენოსს. თეოდორა ტრაპეზუნის იმპერატორის იოანეს ქალიშვილი გახლდათ და იგი საკმაოდ კარგად იყო გარკვეული ბიზანტიურ პოლიტიკაში. ის რომ მეჰმედ დამპყრობელი კომნენოსთა ოჯახის წევრმა აღზარდა, ბევრ რამეს ნათელს ჰფენს. მხოლოდ კომნენოსს შეეძლო ჩაეგონებინა

ჯარით თურქთა შემოტევაც უკუაგდო და ზღვიდან მოწოლილი მეკობრეებიც გაანადგურა, მაგრამ ალექსი II-ის სიკვდილის შემდეგ, 1330 წელს, ისევ მომძლავრდნენ ბიზანტიელები. დაიწყო დევნა და ხოცვა ქართული დასის წარმომადგენლებისა. მაშინ დაიღუპნენ ტრაპეზუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი – დიდი დუკა ლეკი ჭანჭიძე და დიდი დომესტიკოსი ჯაბა. 1341 წელს გიორგი V ბრწყინვალემ აღადგინა ქართველთა ჰეგემონობა ტრაპეზუნის იმპერიაში. 1340-1349 წლებში ქართულ და ბიზანტიურ პარტიებს შორის მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი, რომელიც ბიზანტიური პარტიის გამარჯვებით და ალექსი III კომნენოსის გამეფებით დასრულდა. თემურლენგის შემოსევების დასაწყისში ქართველებმა სამუდამოდ დაკარგეს პირველობა ტრაპეზუნში. 1456 წელს ოსმალები შეესივნენ და დახარკეს ტრაპეზუნის სახელმწიფო, მაგრამ გაუგონარი რამ მოხდა სულ მალე, ტრაპეზუნის იმპერატორად დაჯდა დავით კომნენოსი. იგი იყო ბედკრული იმპერიის 21-ე იმპერატორი. დავითი გახლდათ იმპერატორ ალექსი IV-ისა და თეოდორა კანტაკუზენის ვაჟი, რომელიც ტახტზე ავიდა თავისი ძმის იოანე IV-ის გარდაცვალების შემდეგ. ბოლო იმპერატორს გულში ჰქონდა ჩადებული ევროპელების გამოყენებით საკუთარი სახელმწიფოს გადარჩენა. სწორედ ამ დროს იგი რომის პაპის ეგიდით, ქართველთა მეფე გიორგისთან, სამცხის ათაბაგ ყუარყუარესთან, სომხეთისა და აზიის სხვა მმართველებთან ერთად იღვწოდა ოსმალეთის სულთან მეჰმედ II დამპყრობელის წინააღმდეგ, დიდი კოალიციის შექმნისათვის. მაგრამ, მეჰმედ სულთანი გულდასმით ადევნებდა თვალს ტრაპეზუნელ და ქართველ ფეოდალებს და

ალექსი კომნენოსი

მეჰმედისათვის ალყა შემოერტყა წმინდა ქალაქისთვის კონსტანტინოპოლისთვის და აეღო იგი! თეოდორას აღზრდილმა მეჰმედ დამპყრობელმა დედობილის დავალება პირნათლად შეასრულა და 20 წლის სულთანმა მსოფლიოს ჭიპის დაპყრობა შეძლო. ამ გამარჯვებით მეჰმედმა თავისი თავი გაუტოლა ჩინგიზ ხანს, თემურ ლენგს და, იქნებ, თავად სამხედრო გენიოსების კუმირს, დიდ ალექსანდრე მაკედონელს. თეოდორას აღზრდილი კონსტანტინოპოლით ვერ დაკმაყოფილდა და, შესაბამისად, არც მისი ამბიციები გაციებულა სამყაროს ჭიპის დასაკუთრებით.

სულ მალე ოსმალნი ტრაპეზუნის იმპერიას მოადგნენ. ამ ქვეყანასაც დიდი მნიშნელობა ჰქონდა ევროპული კულტურისა და მართლმადიდებლური რწმენის შერწყმასა და დაცვაში.

როგორც ცნობილია, ტრაპეზუნის იმპერია დაარსდა 1204 წელს მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, წმინდა თამარ მეფის, მისი სამეფო კარის მეოხებითა და სამხედრო ქმედებებით ბიზანტიის წინააღმდეგ. პირველი იმპერატორი იყო ალექსი კომნენოსი. იგი კომნენოსთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის ანდრონიკე I-ის შთამომავალი და, ამავე დროს, ქართველთა დიდი მეფის თამარის ნათესავი გახლდათ.

1297 წელს კი ტრაპეზუნის კეისარმა ალექსი II-მ ბიზანტიის კეისარ ანდრონიკე II-ს დამოყვრებაზე უარი უთხრა და ცოლად შეირთო სამცხის მთავრის ბექა ჯაყელის ასული. ისევ გაიმარჯვა ქართულმა ორიენტაციამ ტრაპეზუნში. ალექსი II-მ მესხების

ელვისებური სისწრაფით მოქმედებდა. ჯერ დავითის ერთ-ერთი მინისტრი გადმოიბირა ოსმალმა. ამ მინისტრის ხელით ყურადღება მოუდუნა კომნენოსთა გვარის ბოლო ხელმწიფეს. დავით მეფემაც თითქოს ირწმუნა, ოსმალების ცრუ კეთილმოყვარეობა. მეჰმედ დამპყრობელმა დამშვიდებულ ტრაპეზუნს უეცრად მიაყენა თავისი ფლოტი, ჯარის მეორე ნაწილი ხმელეთით გაგზავნა. ამაყ ელინებს, რომლებსაც თავისივე ძალისა და სიბრძნის სჯეროდათ, ოსმალმა დამპყრობელმა დიდი პოლიტიკური ხაფანგი მოუწყო. ბერძნები იმ დროს ქართველების მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი. ფაქტია, რომ დესპინა ხათუნს, იგივე თეოდორა კომნენოსს, არაფერი გაუკეთებია კომნენოსთან დინასტიის გადარჩენისათვის!

საინტერესო ისაა, რომ მეჰმედ დამპყრობელის დედობილი თეოდორა კომნენოსი ტრაპეზუნის უკანასკნელი იმპერატორის დავით კომნენოსის ღვიძლი ბიძაშვილი იყო. როდესაც ოსმალნი ტრაპეზუნტს მიადგნენ, თევდორა უკვე თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს სულთნის – უზუნ ჰასანის მეუღლე იყო. მას თეთრბატკნიანები დესპინა ხათუნს უწოდებდნენ. ტრაპეზუნელებს სჯეროდათ, რომ დესპინა დაეხმარებოდა თავის ბიძაშვილს – იმპერატორ დავითს, რადგანაც უზუნ ჰასანს უზარმაზარი იმპერია ჰქონდა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფო მაშინდელ ირანს, ერაყს, ომანს, აზერბაიჯანს და სომხეთს მოიცავდა. თავიდანვე, როცა უზუნ ჰასანი მშვენიერ თეოდორა-დესპინეზე ქორწინდებოდა, მან პირობა დასდო დახმარება გაეწია ტრაპეზუნის იმპერიისათვის და არ მიეცა მისი დაშლის უფლება ოსმალებისათვის. ალბათ, ამიტომაც მოხდა, რომ იმედ მოცემულმა ბერძნებმა ქართული ჯარი და საქართველო დაივიწყეს და მთლიანად თეთრბატკნიან თურქთა სახელმწიფოს მიენდნენ. ვერ დაეხმარა თუ არ დაეხმარა უზუნ ჰასანი ოსმალთა ბრჭყალებში ჩავარდნილ ტრაპეზუნელებს, ძნელი სათქმელია. მას ხომ მანამდეც და შემდეგაც, არაერთხელ დაუმარცხებია მეჰმედ დამპყრობელი და მისი მხედრობა. თეთრბატკნიანები, ოსმალთა მსგავსად, სუნიტები იყვნენ. ნუთუ რწმენით ერთობამ გამოიწვია უზუნ ჰასანის უზარმაზარი ჯარის უმოქმედობა? არავინ იცის! ფაქტია, რომ დესპინა ხათუნს, იგივე თეოდორა კომნენოსს, არაფერი გაუკეთებია კომნენოსთან დინასტიის გადარჩენისათვის!

ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ თეოდორა კომნენოსის დედა ბაგრატიონი გახლდათ და თავად დესპინა ხათუნი ალექსანდრე დიდის შვილიშვილი იყო.

(გაგრძელება იქნება)

ვლადიმერ კოპტონაშვილის ეთნოგრაფები

ისარგებლეს რა საქართველოში და მის ირგვლივ შექმნილი მძიმე სიტუაციით, 1918 წლის აპრილ-მაისში, ადგილობრივი გამუსულმანებული ქართველების და ათასი ჯურის ავაზაკების მრბეველმა რაზმებმა დაიწყეს სამცხე-ჯავახეთის ქრისტიანი მოსახლეობის უმოწყალო ძარცვა-რბევა და შევიწროება. მალე მათ ოსმალეთის რეგულარული ჯარის ნაწილებიც წამოეშველნენ და ადგილობრივ მოსახლეობას მეტი გზა რომ არ ჰქონდა, აიყარა და ბორჯომ-ბაკურიანის, ტაბაწყურის, წალკისა და დმანისის მიმართულებით გადაიხვეწა. ამ მოვლენას ხალხმა „გაქცევები“ დაარქვა. ქვემოთ გთავაზობთ ამ ამბების თვითმხილველის ***ვლადიმერ კოპტონაშვილის*** *მოგონებებს, რომელიც ჯავახეთის მკვიდრმა, ცნობილმა პუბლიცისტმა და ფოტო ხელოვანმა* ***კუკური მეტრეველმა*** *მოგვაწოდა.*

გაქცევა

1918 წლის მაისის თვის მიწურული დღეები იდგა. ოსმალთა ფაშის ასკარები შემოესივნენ ჯავახეთის ქართველთა და სომეხთა სოფლებს, ახალქალაქი გადააქციეს თურქ-ოსმალთა საბრძანებელ ცენტრად.

საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, სწორედ რომ ლტოლვილებზე აღესრულა, წალკის გადასასვლელ ზეგანზე, თავკეთულა და შავნაბადა მთების სამხრეთით, მოვიდა ჯერ მსხვილი სეტყვა, ისეთი, რომ საქონელმა თავები მიწას დააკრეს. სეტყვის შემდეგ კი ჩამოწვა ჯანყი-ნისლი, ხუთ ნაბიჯზე ვერაფერს ვარჩევდით. სწორედ ამ დროს გზა გადაგვიღობა ხუთმა შეიარაღებულმა. გამხეცებულები ეცნენ ცხვარს და საქონელს. დედაჩემს ჩვენი „წაბლა“ ძროხა, რომელსაც ორივე რქა ძირში ჰქონდა მოტეხილი და ერთი მოწველის დროს ერთ ვედრო რძეს იწველიდა, საგანგებოდ ურმის ბოლოზე ჰყავდა მიბმული, რომ არ დაკარგვოდა. მომხდურები ეცნენ წაბლას, შეხსნეს წასაყვანად. დედაჩემი არ დაიბნა, წაბლას ეცა კისერში და ბაწარზე ჩამოეკიდა. დედას ფეხებში ორჯერ ესროლეს, მაგრამ მაინც არ შეშინდა. უფროსმა მომხდურებს უბრძანა: „ბრახ თარგი ვერ“ – თავი დაანებეთო. ამ ხუთ ყაჩაღს დაემატა კიდევ რვა მომხდური და, როგორც ჩვენი, ისე სხვების საქონელი გარეკეს. წაბლა ძროხა დედაჩემის წყალობით გადარჩა. დედას თათრული ესმოდა და, როგორც გაარკვია, ესენი ოსმალოები კი არა, ბორჩალოელი თათრები იყვნენ. გარდა ამისა მომხდურები იტაცებდნენ ქალიშვილებს

როგორც წალკის რეხაში ლტოლვილი ქართველობა, ასევე სომხობა და ბერძნობა. თვითონ რეხელები ათასგვარი სენით იყვნენ დაავადებულები. სამკურნალო საშუალებად მიჩნეული იყო ბალახეული ნაყენები, შელოცვები, მკითხაობა. იფეთქა პარტახტიანმა მუცლის ტიფმა. ეს გამოწვეული იყო ლტოლვილთა მოზღვავებით, შიმშილით, ჰიგიენის დაუცველობით. ისეთ ოჯახს ვერ ნახავდით, მძიმე ავადმყოფი რომ არ ჰყოლოდა. საშინელმა სენმა მრავალი ოჯახი დააზარალა. ლტოლვილთა მეტი წილი ცხოვრობდა მინდორში ფარდაგებით გადახურულ მიწურ თხრილებში, საქონლის სადგომ ბოსლებში. ამ დროს ადგილობრივ მოსახლეობას საქონელი გარეკილი ჰყავდა იალაღებზე. წალკის მთიანეთში ზაფხულშიც იცის მსხვილი სეტყვა, რომელსაც მოჰყვება საკმაო სიცივე.

მიუხედავად ასეთი პირობებისა და მდგომარეობისა, სოფლის ეკლესიაში ჯვარს მაინც იწერდნენ ახალგაზრდები, ქუჩებში ერთდროულად შეხვდებოდით მექორწილეებსაც და სამგლოვიარო პროცესიასაც.

ზაფხულის თვეებში რეხელ და ლტოლვილ ბავშვებთან ერთად, ხშირად დავდიოდი მდინარე ქციაზე კალმახის ხელით დასაჭერად, ვინაიდან შიმშილი ყველას გვაწუხებდა. გადავთელავდით პურის ნათეს ყანებს, გამოვიტენიდით უბეებს ატოლით და ღომით, თან, კრე-

ჯავახეთში დაბრუნება

1918 წლის დეკემბრის მიწურულს, გახიზვნიდან მეშვიდე თვეს, საქართველოს მენშევიკურ და თურქ-ოსმალთა მთავრობებს შორის მოხდა დაზავება. წალკის რეხაში მოვიდა ცნობა, რომ ჯავახეთის ლტოლვილები ბრუნდებიან თავიანთ სოფლებშიო.

დადგა ლტოლვილთა ნანატრი დღე, სამშობლოში დაბრუნებისა. როგორც ფუტკრის სკაში ბარტყი აბობოქრდება სკიდან გასაქცევად, ისე აიშალა რეხის ლტოლვილობა ჯავახეთში დასაბრუნებლად. პარტახტიანმა მუცლის ტიფმა ლტოლვილთა ნახევარი ოჯახები დააზარალა, მათ ნაცვლად სამშობლოში დაბრუნებისა, წალკაში და წალკის რეხაში ჰპოვეს სამუდამო სამარე. მამაჩემის ძმას თედო კოპტონაშვილს ჰყავდა 14 შვილი, თვითონ, მეუღლე და ცხრა ქალიშვილი საშინელი სენის მსხვერპლნი გახდნენ. ასევე კოთელიის მკვიდრის ვართან კარაპეტიანი 19 ქალ-ვაჟიდან 8 გადაურჩა სიკვდილს, სოფელ გოგაშენის მკვიდრი ნათენაძეების 72 სულიანი ოჯახიდან გადარჩა მხოლოდ 4 სული.

დედაჩემისთვის მძიმე იყო ის ტრაგედია, რომ მან საკუთარი ხელით, თავისი მაზლის – თედოს ოჯახის ცხრა წევრი საკუთარი ხელით მიაბარა მიწას. თედოს

ახალქალაქიდან ბაკურიან-ბორჯომის მიმართულებით სოფელ კოთელიამდე გზის მონაკვეთი 15 კილომეტრს შეადგენს. სოფლის ამაღლებულ ბორცვზე მდებარე კვირაცხოვლის ეკლესიის ნანგრევებთან უამრავ ადამიანს მოეყარა თავი, როგორც ეს იცოდნენ აღდგომის სწორ კვირა დღეს – კვირაცხოვლობის დღესასწაულზე, მაგრამ ამჟამად სოფლის მაცხოვრებლები მოსული იყვნენ სოფლისაკენ მომავალი გამოხიზნული ადამიანების საყურებლად. ლტოლვილთა ქარავნების მოძრაობა, კალაპოტიდან გადავარდნილი, აბობოქრებული მდინარის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მოდიოდა ქარავანი ჩარდახიანი ურმებით, სურსათ-სანოვაგით დატვირთული ცხენებით და ვირებით, მოხუცებით, ბავშვებით, ავადმყოფებით, ცხვრის და საქონლის ჯოგებით. სივიწროვის გამო გზის ორივე მხარეს ფეხქვეშ ითელებოდა დიკის, ქერის, ბარდის და სელის ნათესები.

სხვა გზა არ იყო, სოფელ კოთელიის მკვიდრნიც ლტოლვილთა ქარავნებს უნდა შეერთებოდა, რათა თავი ეხსნა ოსმალთა ასკარებისაგან.

ჩვენი ოჯახი რვა სულისაგან შედგებოდა, – მამაჩემი არჩილ კოპტონაშვილი, დედა ევდოკია ზედგინიძე და ექვსი შვილი, სამ-სამი წელი იყო და-ძმებს შორის სხვაობა. უფროსი შვილი ვანო 18 წლის იყო, ყველაზე უმცროსი სოფიო – სამი წლის, მე მაშინ 12 წლის გახლდით. მამაჩემმა, იმ იმედით რომ ოსმალთა ასკარებს ჯავახეთის მიწა-წყლიდან ერთ კვირაში განდევნიდნენ, 45 ძირი ფუტკრის ოჯახი საფუტკრეში დატოვა ჯაჭვებზე გაბმული სამი ქოფაკის ამარა, სამი კასრი სალაფავით და სამი კასრი წყლის ჭურჭლით.

ლტოლვილთა ქარავანი ორ ნაწილად გაიყო, ზოგი ბორჯომ-ბაკურიანის მიმართულებით, ზოგი კი წალკის მიმართულებით გაემართა. სოფლები ბალანთა, ჭიხარული, ტაბაწყური, მოლითი, ხუმრისი წალკაზე გადასასვლელად გზას მოკლედ ჭრიდა და მამაჩემმაც ეს გზა აირჩია. მითუმეტეს, რომ იქ მამაჩემის მამიდაშვილი სიმონ ხუციშვილი, წალკის, რეხის მკვიდრი ეგულებოდა, რომელმაც მართლაც დიდი დახმარება გაუწია ჩვენს ოჯახს ლტოლვილობაში.

და დედაქალებს, ატყდებოდა წივილ-კივილი, თოფების სროლა, ხოცავდნენ ქალებს, აუპატიურებდნენ. ჩავედით წალკის რეხაში. საღამოსვე შევიტყეთ სოფელ კოთელიის მკვიდრ ძმებ მელიქიძეებს – სამსონს, იაკობს და მათ ბიძაშვილს ერეკლეს, შეტაკებისას ბორჩალოს თათრების ბრბოდან ხუთი კაცი დაეხოცათ. თუმცა ლტოლვილთა მხრიდანაც ასევე სამი მამაკაცი, ორი ბავშვი და ოთხი ქალი დახოცილიყო.

ჩვენთან ერთად რეხაში გადმოვიდნენ დედის ბიძები და ბიძაშვილების ოჯახები სოფელ ჩუნჩხიდან, ზედგინიძეები. დედას თან ახლდა მამის ხუთი ძმა, უფროსი ვასილი პაპა, რომელიც 32 სულისგან შემდგარ ოჯახს მართავდა, მეორე ძმა მეცხვარეობას უძღვებოდა, მესამე – მესაქონლეობას, მეოთხე – მემინდვრეობას, მეხუთე – დედაჩემის მამა ფრიდონი კი ხეხილის ბაღის მზრუნველი ყოფილა, რომელიც ბაღის შემოღობვის დროს, როდესაც დიდ ლოდს ბეჭით აწვებოდა, ტრაგიკულად დაღუპულა.

ლტოლვილობაში რეხელებთან

შემონახული ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ რეხელები გადმოსახლებულან ოსმალეთიდან 1828-30 წლებში, არტაანის სანჯაყის სოფელ ველიდან. როცა საქართველო ძლიერი ყოფილა და ზემო ქართლს ჰასან-ყალა ტრაპიზონამდე განაგებდა, მაშინ, რა თქმა უნდა, ველელი ქართველობა მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა და წირვა-ლოცვაც მშობლიურ ენაზე აღესრულებოდა. 1828 წელს რუსის ჯარმა აიღო ეს მხარე, აქაურ ქართველებს გაეხარდათ, იფიქრეს, ღმერთმა გვიშველა, ქრისტიანი ხელმწიფე გვეყოლებაო. მაგრამ მას მერე რაც ყარსი და არტაანი უკანვე გადასცეს ოსმალეთს, რაღა გაეწყობოდა, ქართველობა აიყარა და დასახლდა წალკის სოფელ რეხაში.

რეხაში ცხოვრობდნენ: ხუციშვილები, კოზიაშვილები, საბაშვილები, საბაძეები, მიწაძეები, მურმანიშვილები, ზანდარაშვილები, ყავრელაშვილები და სხვა. სოფლის ქართველობას თითქმის დაკარგული ჰქონდა მშობლიური ენა, უმეტესობა თათრულად ლაპარაკობდა.

დღევანდელი დღესავით მახსოვს,

ფის დროს, ბევრს ვჭამდით, შიმშილის დასაოკებლად. კბილები და ტუჩები შავი, ბალახისფერი გვქონდა. მინდვრებიდან კარგად ჩანდა წალკის ტაფობი, სადაც ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა, ლტოლვილები – ქალი, კაცი, მოხუცი თუ ბავშვი, მოფენილიყო ატოლის და ღომის საკრეფად. გვიან შემოდგომით ვიკვებებოდით მომკილ ყანებში ჩარჩენილი თავთავის მარცვლებით და კარტოფილის ნათეს ადგილებზე ჩარჩენილი კარტოფილით. ზოგი ისე იყო დაუძლურებული, შეგროვების თავიც არ ჰქონდა. ასეთი ტრაგიკული მოვლენების მომსწრე გავხდით ლტოლვილობაში.

აფნიელი დარიკოს გმირობის ამბავი

ერთ ამბავს მოგითხრობთ. რეხაში ლტოლვილებად მოხვდა სოფელ აფნიის მკვიდრი და-ძმა დარიკო და ეთო თავიანთი მშობლებით, რომელთაც ლტოლვილობამდე ასეთი ამბავი გადახდათ თავს: ოსმალთა სასაზღვრო ზონიდან გადმოსულა ბრბო, თავს დასხმია სოფელს, ცხვრის და საქონლის ჯოგი გაურეკიათ. ნინააღმდეგობის გაწევის დროს სოფლის შვიდი ახალგაზრდა კაცი დაუხოციათ. როგორც კი ეს გაუგია დარიკოს, დაუყოვნებლივ გაქცეულა იქ, სადაც მის ძმა ეთოს ჰქონდა გადამალული რუსული შაშხანები ვაზნებით. აუსხამს იარაღი და გაქცეულა მტკვრის ხეობაში, მოკლე გზებით, მომხვდურთა დასახვედრად. ეთო დასდევნებია დას და თავზე დასდგომია კლდეში ჩასაფრებულს. როგორც კი მომხვდურებს მტკვრის პირას საქონელი ჩაუდენიათ, დარიკოს ცხენზე ამხედებულისთვის უსვრია და იქვე მოუცელავს, შემდეგ ჩართულა ეთოც, ქვიდან ქვაზე საფარს იცვლიდნენ თურმე, რომ თავდამსხმელთა სიმრავლის შთაბეჭდილება შეექმნათ. შეტაკებისას სამი მოუკლავთ, ორი დაუჭრიათ, დანარჩენები გაქცეულან. მტერს სამაგიერო მიუზღვეს და გატაცებული საქონელი სოფელს უკან დაუბრუნეს. მეორე დღეს მოუწიათ ლტოლვილობაში წამოსვლა.

დარიკო იყო სიცოცხლით სავსე, სათნო, ლამაზი ქალიშვილი. ის წალკაშივე მიათხოვეს სოფელ კოთელიის მცხოვრებ, მამაჩემის ბიძაშვილს, პავლე ზარიძეს. შექნეს ძვირფასი ოჯახი, შემდეგ დასახლდნენ სართიჭალაში. მათი შვილები და შვილიშვილები ამჟამად ცხოვრობენ თბილისში.

მეუღლე მაიკო, დედით პტენიდან, ლონდარიძის ქალი, დედაჩემის დათ ნაფიცი იყო, რადგან დედას არც და ჰყავდა და არც ძმა. ჩვენ, ოჯახის წევრები, ჯანმრთელად ვყავდით, მაგრამ სხვების მდგომარეობას ძალიან განიცდიდა და მუდამ თვალცრემლიანი იყო.

დედამ დამავალა, საბძელიდან ბზე მომეტანა, რათა დილით ქალამნებში ჩაგვეყარა და ისე ჩაგვეცვა, რადგან თოვლში სიარულის დროს ფეხი სისველეს არ აიღებდა. დილით ჩემ ძმას ვახტანგსა და ჩემს შორის ქალამნების ამოსხმაში მშობლებმა პირველობა მე მარგუნეს და ამის გამო თავს ამაყად ვგრძნობდი.

ნახევრად მიწაში ჩაფლული სახლის კარი დედამ გააღო, მაგრამ იმდენი თოვლი მოსულიყო, გარეთ გასვლა შეუძლებელი გახდა. გვირაბი გამოვჭერით, მამამ სტიქიის ჭირვეულობას გადახედა და დედას უთხრა, ჩვენთვის თბილად ჩაეცმია. დაუყოვნებლივ უნდა დაგვეტოვებინა სოფელი რეხა, რომელმაც შვიდი თვე შეგვინახა. დედას ღაპა-ღუპით წამოუვიდა ცრემლები, გვაცმევდა, გვკოჭავდა, ფუთავდა ლოგინებს, საოჯახო ნივთებს, ქალამნის ბაწრები ყველას სათითაოდ თავისი ხელით განმეორებით მოგვიკოჭა, მოგვცა ღამით მოხარშული ორ-ორი კარტოფილი, დაგვაიმედა, რომ ტაბაწყურის სოფელ წითელ საყდრამდე მალე მივიდოდით და მამაჩემის მეგობარი ალექსი სანდაძე პურს გვაჭმევდა. ჩვენ მოხარშული კარტოფილი უმალვე გადავსანსლეთ, ფიზიკურად ყველანი ჯანმრთელად ვიყავით, მაგრამ სისუსტე მაინც გვემჩნეოდა.

სულიერად და ფიზიკურად გაწამებული ადამიანები აღარ ერიდებოდნენ დეკემბრის უსასტიკეს ჭირვეულ ამინდს, ქარ-ბუქს და თოვლით გამოწვეულ უგზოობას, ოღონდ მიეღწიათ თავიანთ კერამდე. მაშინდელ მთავრობას არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია ლტოლვილებისთვის, ხომ შეიძლებოდა გადასასვლელ გზებზე ჯარის ნაწილების დახმარებით მოეხდინათ ლტოლვილთა ორგანიზებული გადაყვანა და ის მსხვერპლი აგვერიდებინა თავიდან, რაც მოჰყვა ლტოლვილთა უკან დაბრუნებას. წალკის რეხა მთელ წალკაში მყოფ ჯავახეთის ლტოლვილთა გამოსასვლელი გზა იყო. გაწამებული ლტოლვილთა ქარავნები მიემართებოდნენ ჯავახეთის მთიანეთის გადასასვლელზე, ბავშვებით, მოხუცებით, ფეხებზე ჭინჭებით, ბევრს ტყავის ქალამანიც არ ეცვა, დეკემბრის ჭირვეულ სტი-

→

ქიას ერკინებოდნენ. ამინდი არ ცხრებოდა, თვალებში თოვლს აყრიდა, ადამიანები ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, თოვლში ვარდებოდნენ, ზოგი იქვე რჩებოდა, რადგან წამოდგომის თავიც არ ჰქონდათ და თოვლი წამიერად ფარავდა მათ სხეულს.

მივემართებოდით ჩვენც, ხუთი ცხენით დაბარგული ფუთა საოჯახო ნივთებით, ცხენებს მართავდნენ მამაჩემი არჩილი, ჩემი უფროსი ძმა ვანო და რეხელი სიმონ ხუციშვილი, რომელიც ბოლომდე ჩვენს გვერდით იდგა და დიდი დახმარება გაგვიწია. ხოლო დედას, რომელსაც ლტოლვილობაში არავითარი სენით არ დაავადებულა, თავიც კი არ ასტკიებია, ხუთ შვილს გვეხმარებოდა. სოფიო ჰყავდა ახუტებული, დანაჩენები კი, ფეხით ვცდილობდით თოვლიანი გზის გავლას. ახლაც მიკვირს ეს გამხდარი, შუა ტანის ქალი როგორ ახერხებდა თავისი მოქნილობით, მოსაზრებით ამდენი რამის ატანას.

მივადექით თავკეთილა და შავნაბადა მთების სამხრეთით მდებარე კამეჩის ვაკის მინდორს, ჩვენდა საბედნიეროდ თოვაც შეწყდა, მზემ მიდამოს თვალი გადაავლო. წინამძღოლები გაჩერდნენ. დედამ ხუთივეს გვითხრა, წრე შეგვეკრა, მხოლოდ ერთიმეორისთვის გვემზირა და ისე დაგვესვენა. მაგრამ ცნობისმოყვარე ბავშვებმა დედას არ დავუჯერეთ და მივიხედ-მოვიხედეთ. გზის მარჯვენა მხარეს – ურემზე, რომელშიც უკვე ხარები აღარ ება, იჯდა გაყინული ახალგაზრდა ქალი ბავშვით ხელში, რომელიც, ალბათ, წლინახევრის იქნებოდა და ისიც მიყინვოდა დედას მკერდზე. იქვე ურემთან ხუთი ადამიანის გვამი თოვლის ნამქერს სანახევროდ დაეფარა. ზოგს მოკრუნჩხული ხელი ამოეშვირა, ზოგს მხოლოდ იდაყვი უჩანდა, ერთს, ახალგაზრდა დამჯდარ ყმაწვილს ულვაშები შეყინვოდა ზედ. მაშინ ცხრა წლის ვიყავი, მაგრამ ეს ნანახი მთელი ცხოვრება არ გამოსულა ჩემი გონებიდან.

გზა გავაგრძელეთ, სანამ ტაბაწყურამდე მივიდოდით, არა ერთი ტრაგიკული სურათის მნახველები გავხდით, – გზის ორივე მხარე გაყინული გვამებით იყო მოფენილი. ტაბაწყურის წითელ საყდართან მზის ჩასვლისას შევედით. დედაჩემმა სოფლის განაპირას მდგომ ქალს ხელით ანიშნა, ამდენი ხალხი გზაზე რომ დამხვრჩალა და გაყინულა, რატომ სოფელი არ დაეხმარაო? ქალმა უპასუხა – სოფელმა ბევრი გადაარჩინა, მაგ დროს ჩვენი სოფლიდან ორი კაცი დაიხრჩო და სოფელი აღარ მიდის საშველადო.

წითელსაყდარში ცხოვრობდა ალექსი სანდაძე, შეძლებული, ცხვარ-ძროხის პატრონი. მაშინვე საქონლის დიდ ბოსელში დავბინავდით, რადგან ბოსელი თბილი იყო და მამაჩემმა ასე არჩია, – უფრო თბილად დაგვეძინებოდა. დედამ მასპინძლის ქალს სთხოვა, ბავშვებს მთელი დღე არაფერი უჭამია, რისი საშუალებაც გაქვთ, დაგვეხმარეთო. მართლაც დიასახლისმა შემოგვიტანა რვა ცალი თონის თხელი ლავაში. ისე გვშიოდა, სულმოუთქმელად გადავსანსლეთ. ცოტა ხანში კი ყველას თავბრუ დაგვეხვა, ზოგს გვაღებინა კიდეც. დედა მიხვდა, რომ ეს პური იყო მარეველა-მათრობელა „დალიჯა“, შემდეგ ბოსლის კუთხეში მივწექით და მკვდარივით ჩაგვეძინა. მეორე დღეს გვიან გავიღვიძეთ, დედამ გაგვამზადა სოფელ კოთელიისკენ გასამგზავრებლად. როგორც სხვა დროს, ახლაც დაგვირიგა მოხარშული კარტოფილი. როდის ასწრებდა ან სად ინახავდა მას, ჩვენთვის ცნობილი არ იყო. არც ერთი ჩვენთაგანი, ძალზე მშიერიც რომ ვყოფილიყავით, ჩუმად აღებას ვერ გაბედავდა. ვიცოდით, რომ ვინც რამეს მოიპარავდა, მაშინვე ჯუჯად, ბაყაყად ან ხვლიკად გადაიქცეოდა. გამგზავრების წინ მასპინძელმა ქალმა თითო ჭიქა რძე დაგვალევინა, რამაც სიცოცხლე დაგვიბრუნა.

სოფელ მოლითთან, ჯავახეთში გადასასვლელთან, მენშვიკური სამხედრო სარდლობის მიერ მოწყობილი იყო ხერგილი. ხელის შეხებით ჩხრეკდნენ ლტოლვილებს, დიდსა თუ პატარას. დედას მუხლის სახსართან დამაგრებული ჰქონდა მამისაგან მიცემული უკანასკნელი ვერცხლის და ქაღალდის ფული, უფროს ძმას, ვანოს, მაუზერი ჰქონდა ცხენის უნაგირის კეხის ქვეშ. ხერგილის გავლამ მშვიდობიანად ჩაიარა.

სოფელ ჭიხარულას შესასვლელთან ოსმალთა ასკარების ჯგუფმა შეგვაჩერა. მამას ჩოხა ეცვა, პაპისეული ვერცხლის მესრებით და ქამრით, დედას არ დაუჯერა და ასე შეიმოსა. ყველაფერი ნაართვეს. წინააღმდეგობის გაწევის გამო შორს გაიყვანეს, სცემეს და მოგვიანებით გამოუშვეს. ჩვენ კი იმ მთვარიან, სუსხიან ღამეში, ბეჟანოს ჭალაში ველოდით მამას და, ფეხები რომ არ გაგვყინოდა, აქეთ-იქით დავრბოდით.

ჯავახეთის სოფლები თავის მკვიდრთა დაბრუნებას თოვლიან ღამეში ხვდებოდა. დედა გვანუგეშებდა, რომ სახლში მისვლისთანავე დაგვაპურებდა. სოფელში გვიან ღამე შევედით, მიწური სახლებიდან აქ-იქ ამოდიოდა კვამლის ბოლი, ეტყობა ზოგიერთები წინა დღით დაბრუნებულიყვნენ. ჩვენი სახლი სოფლის საყდართან ახლოს იდგა. რომ მივუახლოვდით, დიდი ოთახის ბუხრიდან ამოსული ბოლი შევნიშნეთ. მშობლებმა იფიქრეს, ალბათ ვინმე შესახლებულაო. იქვე, ღობიდან, კატა გადმოხტა. დედაჩემს კაბის ბოლოზე კუდი მოუცაცუნა. ჩვენ ძალიან გაგვეხარდა და მოვეფერეთ. დატოვებული 45 ძირი ფუტკრის სკებისგან ნატამალიც არ დარჩენილიყო, ჩვენი ქოფაკებიც არსად ჩანდნენ. სახლის კარები მანამ არ გაგვიღეს, სანამ ჩემმა ძმამ, ვანომ, მაუზერი სამჯერ არ გაისროლა.

გამოზამთრება გაძარცვულ - გავერანებულ სოფელში

ჩვენს სახლს დაპატრონებოდა ახალციხის მაზრის სოფელ ორგორიდან ათამშა, ორი ცოლით და სამი ბავშვით. დედამ, თურქული ენის დიდებულად მცოდნემ, ათამშას ცოლების მოწონება დაიმსახურა, საბძლიდან თივა მოგვატანინა, ბუხარი დაანთო, სითბო და სინათლე ერთად მივიღეთ. შემდეგ ათამშას ცოლებთან ერთად ბუხარში ერბოიანი პურები დააცხო და დაგვაპურა. მკვდარივით ჩაგვეძინა, დილით გავიგეთ, ათამშა გაპარულიყო, დაუტვირთია 12 ხარ-კამეჩი ჩვენი ამბრებიდან მოპარული ხორბალი და ქერი, სამი ურემი თივაც ზედ მიუყოლებია. დედამ მორჩენილი პურებით გამოგვკვება, შემდეგ გავვარდით სოფელში, ჩვენი თანატოლების მოსაძებნად, მაგრამ სიხარული მწუხარებით შეგვეცვალა, ბევრი ჩვენი თანატოლი ლტოლვილობაში დაღუპულიყო.

სოფელში ნახავდით დამწვარ-გადაბუგულ, გაძარცვულ სახლებს, შიმშილისაგან დაუძლურებულ, მოლასლასე ადამიანებს, გადარჩენილ მოსახლეობას სიცივით და შიმშილით დაღუპვა ელოდა. მაშინ მამაჩემმა, არჩილ კოპტონაშვილმა, იობ, ზურაბ, ილიკო ფანჯაკიძეებმა, მიხა ბერიძემ, გიორგი აჩელაშვილმა, შეაგროვეს ფული და სამი კაცი გაგზავნეს კახეთში სიმინდის შესასყიდად. თავის გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება ყანებში ჩარჩენილი ხორბლის და ქერის მარცვლები იყო, მაგრამ თოვლითა და ყინულით დაფარულ ყანებში მათი ამოკრეფა შეუძლებელი გახდა. არ იყო სამუშაო იარაღები – ბარი, ნერაქვი, ცული. სოფელი ასკარებს პირწმინდად გაეძარცვავთ. საბედნიეროდ, ათამშას ბოლომდე არ დაუნგრევია ჩვენი სათონე და რამდენიმე მორი გადარჩენილიყო. დედამ მოიფიქრა, მათგან გამოეთალათ ნიჩბები, რათა ადამიანებს შეძლებოდათ ცოტაოდენი მარცვალი ამოეკრიფათ ყანებიდან. პირველ ჯერზე ჩვენ, ბავშვებმა, ორი გირვანქა მარცვალი შევაგროვეთ, სპილენძის თასებით ვაშრობდით ბუხარში ცეცხლზე და შემდეგ ხელის საფქვავით ვფქვავდით. საჭირო იყო მარაგის დაგროვება, კარგ ამინდში ყოველთვის გავდიოდით მარცვლის მოსაგროვებლად. სოფელში ბევრს მოგროვების თავიც არ ჰქონდა, დედა საღამოობით გაგვივსებდა ხორბლით ჯამებს და ვურიგებდით გაჭირვებულ ოჯახებს.

დადგა 1919 წლის იანვარი, სოფელში ამბავი მოვიდა, ბორჯომში ვაგონით შემოეტანათ სიმინდი კახეთიდან. ამ სიმინდის სოფელში მოტანას ახალციხეზე შემოვლით 10-15 დღე მაინც სჭირდებოდა.

თურქთა ასკარების ბანდები ისევ დათარეშობდნენ, იტაცებდნენ ჯოგებს, ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, იჭრებოდნენ ოჯახებში, აუპატიურებდნენ ქალებს, მამაკაცები ტყვედ მიჰყავდათ, ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს. 1919 წლის 10 მარტის მთავრობისადმი ბაკურიანიდან გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია: „ჯავახეთის სოფლები სარო, ხიზაბავრა, გოგაშენი, კოთელია, ბარალეთი და სხვა, ოსმალთა ასკარებმა გაანადგურეს, ქონება მთლიანად დაიტაცეს, ქალები და ბავშვები გააუპატიურეს, ხალხი დახოცეს, ბევრი წაიყვანეს და განაგრძნობენ სისასტიკეს“.

გოკიო-კოთელიის მეგობრობის და გიჟი ალიას გმირობის ამბავი

1919 წლის თებერვლის თვე იდგა, თოვლიანი და ყინვიანი, გაზაფხულის ნიშან-წყალიც არსად ჩანდა. ახალციხიდან მომავალ გზაზე მდებარე სოფელ ვარევნის მხრიდან ჩვენს სოფელს – კოთელიას მოადგა შაშხანებით შეიარაღებული ასკარების ბრბო, ორასზე მეტი იქნებოდა, მოედვნენ სოფელს, შევარდნენ სახლებში, დაიწყეს დარბევა. როგორც შემდეგ გაირკვა, ბრბოს მეთაურობდა ახალციხელი მოლის შვილი იაკიფ-ბეგი, მისი სამი მცველით. მოგვადგა ჩვენც, მამასახლისის მოკითხვის მიზნით (მამაჩემი არჩილი სოფელმა მამასახლისად დანიშნა) მამამ იაკიფ-ბეგი მიიწვია ბიძაჩემის – თედოს ოდა-სახლში, სადაც კრებები იმართებოდა ხოლმე. სოფლის გზირმა თედო წინწკალაძემ ჯავახური წივით ბუხარში ცეცხლი დაუნთო იაკიფ-ბეგს, რომელმაც მამასახლისს უბრძანა, სოფლის ქალ-რძალნი მოეგროვებინა და ჭალაში მწკრივად დაეყენებინა, თან გააფრთხილა, არავინ გადაემალა, თორემ სასტიკად დაისჯებოდა 25 როზგის დარტყმით. ამასობაში იაკიფ-ბეგის ბრბო სოფელში აგროვებდა ხალიჩებს, ფარდაგებს, ჭურჭელს წასაღებად. ილიკო ფანჯაკიძის ორი ხარი დაკლეს და არყის ქვაბებით შემოდგეს მოსახარშად. მამაჩემმა ზრდილობისთვის იაკიფ-ბეგს მოსაუბრედ მისი მოადგილე ფანჯაკიძე დაუტოვა, შემდეგ სოფლის გზირს თათრულად მიმართა, იაკიფ-ბეგის გასაგონად, იობ ფანჯაკიძის ცხენი მოეყვანა, ასე უფრო ჩქარა შეძლებდა სოფლის შემოვლას და ქალების ჭალაში გაყვანას.

არჩილი შეჯდა ცხენზე თუ არა, იმ თოვლიან, ქარბუქიან ამინდში მოჰკურცხლა სოფელ გოკიოსაკენ (ზოგიერთი ჩვენი თანასოფლელის გადმოცემით, გოკიოში მამასახლისი არჩილი კი არა, სახალხო მთქმელი კურნუზი გადასულა კ.მ), სადაც ეგულებოდა ამ სოფლის უფროსი გამაჰმადიანებული **ასად აღა**, გვარით **მაჩაბელი** და მოუხსენებია იაკიფ-ბეგის განზრახვის შესახებ. ასად აღას მიუღია გადაწყვეტილება, სოფელ კოთელიაში გამოეგზავნა ასი გიჟი „იუზდალი“ , სოფელ გოკიოს შეიარაღებული რაზმი, მეთაურად კი თავისი სიძე – დის ქმარი „გიჟი ალია,“ ასევე გამაჰმადიანებული **აბაშიძე** დაუნიშნავს.

დედა, როგორც სხვა დროს, ახლაც სოფლის მცხოვრებთა გაჭირვებას ჩემი საშუალებით შეიტყობდა ხოლმე, ამზადებდა მცენარეებისაგან ნაყენებს, მალამოებს და მე მიმქონდა ავადმყოფებთან. ერთხელაც, სოფლის შარაგზაზე, ფანჯაკიძეების უბანში, დავინახე სოფელ გოკიოდან ასზე მეტი შეიარაღებული ცხენოსანი, ჯავახური ტანსაცმლით და ქუდებით. ცხენოსნებმა სოფელი ალყაში მოაქციეს, ნაწილი მოსახლეობაში განაწილდა, შეტყობინება გაუგზავნეს იაკიფ-ბეგს, რომ ისინი ალყაში არიან, თუ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, არ დაინდობდნენ.

გოკიოდან მოსული რაზმის უფროსი „გიჟი ალია“, მამასახლის არჩილთან ერთად, იაკიფ-ბეგს მიადგა ოდა-სახლში, ბუხართან გასათბობად მიმჯდარს. მას გიჟი ალია შეარქვეს თანასოფლელებმა, იმის გამო, რომ ის ყოფილა ძალიან გულადი, გამბედავი, ბრძოლაში შეუპოვარი და სამართლიანი. იაკიფ-ბეგს მისვლისთანვე შესძახა, ამდგარიყო ფეხზე და ისე მოესმინა მისთვის: „შენ ახალციხის მოლის შვილს მამაშენმა ის ხომ არ გასწავლა, უდანაშაულო, გაწამებული, დევნილი ხალხი დაარბიო, გაძარცვო, გააუპატიურო ქალ-რძალნი, შენ რომ აქედან წაეთრევი, ჩვენ ამ სოფლის მცხოვრებნი რას გვიზამენო“. შემდეგ მიუბრუნდა მამასახლისს და სთხოვა მოეტანა მისთვის ნავთი, რათა ოდაში გამოეწვა იაკიფ-ბეგი თავისი მოადგილეებით. მე იქვე, მამის გვერდით ვტრიალებდი, თათრული კარგად მესმოდა და ყველაფერი გავიგე. გავიქეცი დედასთან, მოვუყევი რასაც აპირებდა გიჟი ალია, დედამ თავში ხელები შემოირტყა, თავშალი გადააგდო და გამოიქცა. ალიას ფეხებში ჩაუვარდა, – ნუ იზამ ამასო. თურქული ენით მიმართა – ჯერ მე დამწვი, შემდეგ ეგენიო. ამასობაში იაკიფ-ბეგი გამოვიდა ოდიდან თავისი მხლებლებით და პირობა მისცა გიჟ ალიას, რომ სოფელს დატოვებდა.

ეს ამბავი ისე მოკლე დროში მოხდა, რომ მოძალადეებმა არყის ქვაბებში მოთუხთუხე ხორცის შეჭმა ვერ მოასწრეს. შემდეგ ეს ხორცი სოფელში დავარიგეთ. იაკიფ-ბეგის ბრბო ზლაზნვით დაადგა ვარევნის გზას. ალიამ გააფრთხილა იაკიფ-ბეგი, ვარევანიც ჩვენი მეზობელი სოფელია და ხვალ ჩემი რაზმით იქ მოვალო. შემდეგ გავიგეთ, ვარევანში ერთი ხარი შეუჭამიათ, ვითომ მოსახლეობას თავისი სურვილით დაუკლავს.

ალიამ თავისი რაზმი კოთელიაში ათ დღეზე მეტ ხანს დატოვა, რათა მოხეტიალე ასკარების ჯგუფებისაგან სოფელი დაეცვა. გოკიოს თათრები ამ დამცველ რაზმს უგზავნიდნენ ცხვარს, საქონელს, პურს საკვებად. მარტო ჩვენი სოფელი არ იყო ასეთ დღეში. ამბები მოდიოდა, რა სისასტიკით ეპყრობოდნენ ქართველ და სომეხ მოსახლეობას მეზობელ სოფლებში – ბალანთაში, ბეჟანოში, ჭიხარულაში, ალასტანში, ღადოლარში, ბარალეთში, იხტილაში და სხვა. ძარცვა, მკვლელობა, გაუპატიურება, თითქმის ყოველდღე ხდებოდა. ბევრმა ქალიშვილმა, რძალმა და ქალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა ძალადობისა და შეურაცხყოფის გამო.

მამასახლისი არჩილი, მოადგილე იობ ფანჯაკიძე, სოფლის დამცველი რაზმის მეთაური ალია და კიდევ სამი პირი, ეახლნენ ახალქალაქში ფაშას და მოახსენეს იაკიფ-ბეგის, სხვა ჯგუფების თარეშის შესახებ. ფაშას მშვიდად უთქვამს: „აქ რატომ არ მოიყვანეთ ისინიო?“ ისინი გაოცებულან და უიმედოდ გამობრუნებულან უკან.

ვლადიმერ კოპტონაშვილი, 76 წლის, ჩაწერილია 1992 წელს ***გულიკო საბაძის*** *მიერ. მოგვაწოდა* ***კუკური მეტრეველმა***

სამცხური ლექსიკონი

სოფ. უდე

მოჩოლფოტება - მოდუნება
აღოლდა - გაცოცხლდა
ქოქი - ფესვი
ბღოჯი - ფესვი
სუჩიანი - დამნაშავე
ტაღათი - უღონო
ტალა - სქელი მკვრივი ნაღები
ტორტლი - ძალიან სველი
გნაცი - ღონე მიხდილი
კოლა - ფუტლიარი, ცარიელი ჭურჭელი
წაწკი - მოჩხუბარი
ჩაიღარა. ჯერმა – მიწიდან ამოსული წყალი
ჩიჩქვი - მოხერხებული
ჩიჩქვი - ჩრჩილი
ქასაქოზი - ქვის ხავსი
მორბედი - დამჯერო
წაფელი - სხვისი მოსამსახურე ახალგაზრდა
კვანჭი - ნასკვი
ტარაღი - იარაღი
ლოპო - ნედლი ხიდან გამძვრალი კანი (ქერქი)
ქიშა - სურა
აიაზი - ყინვა
ფიშმანი - შეწუხება
სისო - წვრილკბილა დასაშლელი ხერხი
ააქოთა - სუნი გამოუშვა
მინდი - ხარჯი
ყაზმა - წერაქვი
ღოჯი - ძირის კბილი
ჩომახი - ხის კეტი
ჩაჩანა - უწესოდ ჩაცმული
ფალაფოშა - მოუწესრიგებელი
სართი - სამაგიერო
სიყმემკვდარი - წყევლაა
ჰანი - სად არი
სოხრა - უფასო მუშა, რომელიც უგერგილოდ უდგება საქმეს
გაქიშტა - მდუღარე წყლით გაწმენდა
ყარსული - დასაკეცი წვერიანი დანა
ქუჩბო - თივის ნარჩენი
ხჩინოი - პირგაღებული
შიშტრიბუქა - ძალიან ნერვიული
გატუსა - ბეწვის მოწვა
კნაჭოი - ენატარტარა
ყაფაღი - სახურავი
ყაბი - ჭურჭელი
მატრაპაზი - თარაზო
ფშანი - ძეწნის სახეობა
ლაშები - ფართო ტუჩები
წამხდარი - გასვრილი
ახმახი, აყუდული - მაღალი
გლისპი - დაუჯერებელი
ჩაჩნაგირა - დამცირებული, მოსამსახურე
ზარფიანი - ღონიერი
წოწოლა - ვიწრო
ჩაფრასტი - ხერხის კბილების დარეგულირება
კვნიტი - ნატეხი
ქუსტი - აცდენა
ფუჩია - პატარა ხბო
კოკოშა - დახვეული
ქუფე - ორმო
კოხუნჯური - დაწნული ქალამანი
ნაღიტა - ძალიან სუსტი
ყამჩი - ჯოხზე დამაგრებული თოკი
ყაბალა - ზომა
ზენგინი - მდიდარი
დღუბი - გამდნარი ფისი
გალაფშა - გაწელვა
ბეთარი - უარესი
ტახტაბითი - ბაღლინჯო
კჟდალალა -ახლად გამოჩეკილი ბაყაყი
ფუხარა - ღარიბი
ტამლა - წნევა
გოგრაგები - თირკმლები
ფუშრუკი - პურის ფქვილის წვნიანი შეჭამადი
ვოკობი - თავმოდგმული
თურთუმელა - გამდნარი ქონის მასა
ხაბარი - დანაშაული
სათავლი - ეშმაკი
კოკოშა - მოღუნული
ბალამწარა - დაუმყნობელი ალუბალი
ბალნი ტომარა - თხის ბეწვით მოქსოვილი ტომარა
ტაშხარბელი - დიდ ნახვრეტა საცერი
დააფრუსტუნა - ცხვირი დააცემინა
ძარი - წნელით მოქსოვილი გოდორი
აიპრუწკა - აირდაირია
აიჟინა - აიკვიატა
კოცო - კვერცხი
ჩაჯეყვა - ზურგში ჩარტყმა
საკიდი - ვირი
ტამარი - პულსი
მოხიჭა - მოყინა
ფონთლო - მოშვებული
დაყაბულდა - დათანხმდა

ანტონ ბალახაშვილი, 87 წლის, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი უდე. 2024 წელი

***

ნადირის კვალსა შემოვყევ,
ნახტომსა ჯეირნისასა,
ვეძებ და ველარ შევყრივარ
მიჯნურს ჩემს გუნებისასა.

ორნივ იქ შევიყარენით
ჭალასა დიდ ვაკისასა,
ხელი გადავყავ, ვაკოცე
ნაწნავსა გიშრის თმისასა!

იმან შემამკრა ერთი მე,
წვერი ურია ქვიშასა,
თავსა ის მოკვდა, ბოლოს მე,
ჭალასა დიდ-ვაკისასა.

ჯავახეთი. სოფ. ხიზაბავრა. ჩამწ. აქ. ლაზარაშვილი, 1887 წელი, გ.შატბერაშვილი, „ნაფიქრი.“ გვ. 19

ფოლკლორი

როსტომი და დიაკვანი

(ზღაპარი)

ერთხელ როსტომი გზაში შეხვდა ერთ დიაკვანს, რომელსაც ყათირზე (ჯორცხენა) სახნის-საკვეთი გადაეკიდა და სახლში მიჰქონდა. როსტომი დაბერებული იყო და ამის გამო ხმლის წვერს მიწაზე მიათრევდა. დიაკვანმა დაინახა და უთხრა: ბერი კაცო, შენ ეგ ხმალი აღარ გიხდება, დაბერებულხარო.

როსტომმა უთხრა: აპა, თუ დავბერებულვარო, ეგ სახნის-საკვეთი ხომ გიკიდია ყათირზეო, ეგენი დავაწყოთ კურტანზე, შენც ქვეშ გაუწექი ყათირს, მე ხმალს დავიქნევ, თუ ეგ სახნის-საკვერელი გადავაჭრევინე და შენამდინ დავიდაო და შენც გადაგჭრაო, მაშინ შენი სისხლი ჩემზე ჰალალი იყვეს, თუ ვერა და ცოცხალი გადარჩი, ჩემი ხმალი შენზე ჰალალი იყვესო.

დიაკვანმა სთქვა: სახნის-საკვეთი ძალიან გადააჭრევინა და მე და ყათირი დავრჩითო. – კარგიო, – უთხრა როსტომს და დადგა ყათირ ქვეშ, სახნის-საკვეთელიც კურტანზე დააწყეს.

– აბა, დაგვკარიო, – უთხრა დიაკვანმა.

როსტომმა ამოიღო ხმალი, ახსენა ღმერთი და დაუქნია ხმალი და გადააჭრევინა სახნის-საკვეთი, ყათირი და დიაკვანიც შუაზე გადასჭრა, ადგა და წავიდა ხმლის წმენდით. ცოტა გზა რომ გაიარა, დახვდა ერთი მგზავრი, იცნო როსტომი და უთხრა: ბერიკაცო, კიდევ რა სისხლს შემთხვევიხარო? მაშინ როსტომმა უთხრა:

ადუღდა ბებრისა სისხლი,
როცა რო დრო რომ გასჭირდა,
წადი უთხარი დიაკვანს,
ბერი კაცის დაკრულს რა სჭირდა.

წავიდა ის მგზავრი. გაიარა მანძილი და მივიდა, რომ რას ნახამს. სახნის-საკვეთი, კაცი და ხათირიც შუაზე გადაჭრილი ჰყრიან. ეს როსტომის საქმეაო, – თქვა იმ მგზავრმა და წავიდა თავის გზაზე.

მთქმელი სოლო იოსების ძეგვარამაძე, 69 წლის, ახალქალაქის რაიონის სოფელი ბარალეთი, ჩაწერილია 1937 წლის 28 დეკემბერს გიორგი გოგოლაძის მიერ. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი ფაა13525

ზღაპარი

ძველ დროში ერთ ახალგაზრდა ბიჭს ხელმწიფის 16-20 წლის გოგო უნდოდა. ეს გოგო ერთ ბატონსაც უნდოდა, რომელიც იყო 50 წლის. ხელმწიფეს ბატონისთვის უნდა მიეცა, მაგრამ ბიჭისთვის კი არა, იმიტომ, რომ გლეხი იყო. ამ ხელმწიფის გოროდში წყალი იშვიათი იყო. გლეხის შვილს უთხრა, რომ ერთი მთა იყო და იმ მთის უკან წყალი გამოდიოდა, მთის ქვეშ ტუნელი გათხარე და იმ ტუნელში წყალი გამოიყვანეო. მთის სიგანე იყო დაახლოებით 2-3 კილომეტრი. მას იმიტომ ეუბნებოდა, რომ ბიჭი შიგ შევიდოდა და მოკვდებოდა, რომ თავისი ქალშვილი არ ეთხოვა.

ბიჭი დაინტერესდა, რომ ხელმწიფე რატომ აძლევს 50 წლის კაცს ქალს და მე, 20 წლისას, არა. ადგა და წავიდა წყლის გამოსაყვანად. თან წაიღო ლომი, ლაფატკა, კირკა და ხელით გადასაგორებელი ნასილკა, რომლითაც მიწა უნდა გამოეზიდა. დაიწყო მუშაობა. 15 თვე იმუშავა. ხელმწიფეს ამბავი მიუვიდა, რომ უკვე წყალი გამოყავს ბიჭს. ამ დროს ველარაფერი საშველი ველარ ნახა, მონახა ერთი ბებერი, მისცა მას აუარებელი ფული და გაგზავნა, რომ ბიჭი როგორმე მოკალიო. ამ დროს ბებერმა გამოაცხო უხა, გააკეთა ჰალვა, წაიღო ბიჭთან, როგორც თათრული წესია. ნახა ბიჭი. ტუნელში სამუშაო დარჩენოდა დაახლოებით 20 დღისა. მოემშვიდობა, ტკბილად მიესალმა, ამოიღო და მისცა ერთი გუნდა ჰალვა და უხა. ამ დროს ბიჭი შეეკითხა, რა არის ესო. ბებერმა უთხრა, რომ შენი საყვარელი ხელმწიფის გოგო მოკვდა, უნდა ვაწირვინო-თქო, ეს ამბავი ბიჭს ძალიან ეწყინა. ამ დროს ლომი აისროლა მაღლა, რომ ჩამოვარდნილიყო და კისერი მიეცა თავისი თავის მოსაკლავად. ლომი მიწაში ჩაერჭო. ამ დროს ბიჭმა რაღაც მოიაზრა, გაახსენდა ანდაზა, – რასაც თვალით არ ნახავ, ნათქვამს ნუ დაიჯერებო. მიატოვა სამუშაო და წამოვიდა. ნახა რომ ხელმწიფის ქალის სიკვდილი ტყუილი ყოფილა. ბიჭმა გაიფიქრა, ჩემი მოკვლა სდომებიათო და არა ქალის მოცემა. ხელმწიფეს სთხოვა, მომეცით თქვენი ქალიშვილი, რომ გავიდე ისევ და გამოვიყვანო წყალიო. ხელმწიფემ უთხრა, არ გინდა ქალი, მაგ ნამუშევარში და მოგცემ ფულსო. ბიჭმა იფიქრა, მოცემა რომ არ უნდა, ფულს მაინც გამოვართვამო და გამოართვა ფული ხელმწიფეს და თან უთხრა: რომ ისევ თქვენ დაგახარჯებთ სამუშაოზე. ამის მაგიერ წავიდა და იყიდა ერთი ლეკური ხანჯალი. პირველ რიგში ბებერი მოკლა, მემრე ხელმწიფე მიაყოლა და ქალი ხელში ჩაიგდო და დაიწყეს საამური ცხოვრება. ბატონმა ინტერესი ჩაიდო და დააპირა გლეხი კაცის მოკვლა. ეს ამბავი ბიჭმა გაიგო, რომ ბატონი ემუქრებოდა, იფიქრა, აქ არ მომასვენებენო, ადგა და სხვა სახელმწიფოში გადავიდა საცხოვრებლად და საამური ცხოვრება დაიწყო.

მთქმელი მოსე სერგოს ძე ზედგინიძე, 28 წლის. ჩაწერილია ვახტანგ სუდაძის მიერ 1937 წელს. ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ე.დ. ფ N3485

ძველი გაზეთებიდან

კოცნის ისტორიიდან

ერთი ახირებული მკურნალი ამტკიცებს, რომ კოცნა ძლიერ მავნებელი ჩვეულებაა და უკეთესი იქნება ხალხი კოცნას გადაეჩვიოსო. ამერიკაში ერთი საზოგადოებაც დაარსდა, რომელიც კოცნას უარ-ჰყოფს. ამ საზოგადოებას განზრახვა აქვს, პარლამენტს წარუდგინოს პროექტი, რომლის ძალითაც კოცნა აკრძალულ იქნესო. რასაკვირველია, ძნელია სთქვას კაცმა, დაამტკიცებს პარლამენტი ამ პროექტს თუ არა, მაგრამ რომ დაამტკიცოს კიდეც, რა გამოვა ამ დამტკიცებიდან? ეჭვი არ არის, რომ კანონი თავისთვის იქმნება, კოცნა თავისთვის. არა ერთხელ აუკრძალავთ კოცნა. არც ის არის ახალი ამბავი, რომ კოცნა მავნებელიაო. ამას ამტკიცებენ ძველი მკურნალებიც, მაგრამ ყოველთვის ყოფილან და იქმნებიან გმირთ გმირნი ახალგაზრდა კაცები და ტურფა უშიშარი ქალები, რომელნიც ვითომ და ვნების გამო კოცნას არ ერიდებიან. როცა კაცს ბედნიერი შემთხვევა აქვს ლამაზ ქალს ლამაზი ტუჩები დაუკოცნოს, მოდი და მაშინ სასანიტარო საქმეზედ იფიქრე! ვისა სცალიან მაშინ ჰიგიენისთვის? თუ მკითხველი არ გაგვიწყრება, ცოტაოდენ ცნობებს მოვახსენებთ კოცნის ისტორიიდამ.

კოცნის ისტორიაც ინტერესს არ არის მოკლებული, როდის მოხდა პირველი კოცნა? ამას, რასაკვირველია, ვერც ერთი პატივცემული ისტორიკოსი და არხეოლოგი ვერ გეტყვის, მაგრამ ამ ჟამადაც-კი კოცნა ყველა ხალხს არა აქვს ჩვეულებად მიღებული და ეს გარემოება, დარვინის აზრით, იმას ამტკიცებს, რომ კოცნა ისეთივე უნებური ნიშანი არ არის ადამიანის გრძნობისა, როგორც, მაგალითად, სიცილი ან ცრემლი, არამედ კოცნა მხოლოდ ჩვეულებაა. მართლაც და პატარა ბავშვებს ორ წლამდე კოცნა არ უყვართ და მხოლოდ შემდეგ ისწავლიან ხოლმე. დიდ ოკიანეს კუნძულების მაორისა, ტაიტისა, ჰაგაუს მცხოვრებთ და ავსტრალიის მკვიდრს მცხოვრებთ კოცნა სრულიად არ იციან. კოცნა ჩვეულებრივად არა აქვთ აგრეთვე ამერიკის ესკიმოსებსა. კოცნას სრულიად უარყოფენ აგრედვე მარკეზის კუნძულის მცხოვრებნი. ვინვორდ რიდმა ერთს ზანგის გასათხოვარს ქალს აკოცა. ქალი საშინლად შეშინდა, რადგანაც სრულიად არ იცოდა, კოცნა რა იყო. ტეილორი ამტკიცებს, რომ ლაპლანდიის ქალებს კოცნა საშინლად ეჯავრებათო. ამას გარდა კოცნა არ იცის ისეთმა ხალხმა, რომელსაც ჩვეულებადა აქვთ ტუჩების გახვრეტა და ტუჩებში ძვლების გაყრა, როგორც იქცევიან ბერინგის ზღვის ნაპირისა, ბრაზილიისა და სამხრეთ აფრიკის მცხოვრებნი. სხვა და სხვა ხალხში კოცნა სხვა და სხვა გვარად იციან. აღმოსავლეთის მცხოვრებთ ჩვეულებადა აქვთ, დიდკაცობას ტანთსაცმელზედ ჰკოცნიან. ეგვიპტელები პატივის ცემის ნიშნად ჰკოცნიან ხოლმე თავის ხელსა და მერე ხელს თავზედ იდებენ. სპარსელები პატივისცემის ნიშნად ჰკოცნიან მინასა, ფეხებსა და იმ ადგილს, სადაც ფეხი ედება პატივსაცემ კაცსა. არაბები ერთმანეთს ჰკოცნიან ლოყაში და მერე თავის ხელებს იკოცნიან. ჰამისონისა და ჩინეთის მცხოვრებნი კეთილშობილთა წინ მიწას ჰკოცნიან. ოსმალები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, მხრებში ჰკოცნიან და როცა შორდებიან – მუხლში, მაგრამ ყველაზედ ძლიერ კოცნა ჰყვარებიათ პოლშელებს. კოცნა, რასაკვირველია, ძლიერ ადრეა შემოღებული, წერაზედაც ადრე, და იქნება, ლაპარაკზედაც-კი. უწინდელ დროში ინდოელნი მზის ამოსვლის დროს დედამიწაზედ პირქვე ემხობოდნენ, ხელებს ტუჩებზედ იდებდნენ ხოლმე. ძველს აღთქმაშიაც ხშირად არის კოცნა მოხსენებული. ებრაელთა მწერალნი სამ გვარს კოცნას აქებენ:

ა). პატივის ცემის ნიშნად. სამუილმა აკოცა ახლად ნაკურთხს მეფეს საულსა;

ბ). კოცნა მისალმების ნიშნად. მოსემ აკოცა თავის ძმას აარონს, როცა გზაში შეხვდა;

გ).კოცნა გამომშვიდობის დროს. რუფმა დაჰკოცნა თავისი რძალი, როცა ესალმებოდა. ბერძნების ისტორიაშიც ხშირად შეხვდებით კოცნას. ჰომეროსი სწერს, რომ იტაკის მეფემ ულისმა ნოყიერი დედამოწა დაჰკოცნაო. ეგამემნონმაც აკოცა დედამიწას, როცა სამშობლოში დაბრუნდა. ივნონა კოცნით ამშვიდებს ეჭვიანს ღმერთს ზევსსა. რომაელთ, უეჭველია, კოცნა ბერძნებისაგან ისწავლეს. პლინი ამტკიცებს, რომ კოცნა ძლიერ ძველი ჩვეულებაოო. ტროის განადგურების შემდეგ, ტროის მამაკაცები ძლიერ იყვნენ გაჯავრებულნი და ცოლები კოცნით ამშვიდებდნენ თურმე თავიანთ ქმრებსა. ისტორიკოსი პლინი ამბობს, რომ რომულის მეფობის დროს რომაელი ქმრები თავის ცოლებს ტუჩებში ჰკოცნიდნენ და ამით უნდა გაეგოთ ხოლმე ცოლებს, ღვინო ხომ არ დაულევიაო. შემდეგ რომაელთა შორის კოცნა ისე გახშირდა, რომ იძულებული იქმნენ კოცნა კანონით აეკრძალათ. უწინდელ დროს ქრისტიანები ერთმანეთსა ჰკოცნიდნენ ძმობისა და ერთობის ნიშნად. პაპებმა მოიგონეს ფეხის კოცნა მორჩილების ნიშნად (პაპმა ვალენტინ პირველმა 827 წელს). უწინ გერმანიაშიც იცოდნენ კოცნა. იყო ერთ გვარი ფული კოცნისა. ეს ფული მოსჭრა ჰერცოგმა კაზიმირ კობურგელმა. კობურგელის ცოლმა ანნა საქსონისამ ქმარს უღალატა. ჰერცოგი ცოლს გაეყარა, თითონ მეორე ცოლად მარგარიტა ბრაუნშვიისი შეირთო და პირველი ცოლი ანნა მონასტერში გაგზავნა 1593 წელს. ამ სასჯელის ნიშნად ჰერცოგმა ახალი ფული მოსჭრა. ერთს მხარეზე ფულზე დახატული იყო მოხვეული კაცი და ქალი და ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. ქვეშ ეწერა: „როგორც ჰკოცნიან ერთმანეთს“, მეორე მხარეს დახატული იყო პირ-ბადე ჩამოფარებული მოლოზანი და ქვეშ ეწერა: „ვინ მაკოცებს მე, საცოდავს მოლაზონსა.“ კოცნის შესახებ უწინ რამდენიმე კანონი იყო დაწესებული. იმპერატორმა კონსტანტინემ რომში კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც თუ დანიშნულთ ერთმანეთისთვის უკოცნიათ და ქორწინებამდე ერთი მათგანი გარდაიცვალა, მეორეს სარჩო-საქონებლის ნახევარი გარდაცვლილის ნათესავს ეკუთვნოდა. თუ გათხოვილმა ქალმა თავის ქმრის გარდა სხვას აკოცნინა, მზითევი წაერთმევოდა. უწინდელ იურისტებს დიდი კამათობა ჰქონდათ შესახებ იმისა, გასათხოვარმა ქალმა თუ ვისმეს აკოცნინა, შეუძლიან თუ არა მერე სხვაზედ გათხოვდესო. ცენზორმა კოტონმა კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც ქმარს უფლება არა ჰქონდა თავის ცოლისთვის ყმაწვილებთან ეკოცნა. ამ კანონის დარღვევისთვის მანილი სამსახურითგან დაითხოვეს. საფრანგეთშიც იყო რამდენიმე კანონი კოცნის შესახებ: „მარსელის ისტორიაში“ რუსლე წერს: „ნიშნობის დროს დანიშნულ ქალმა უნდა აკოცოს თავის საქმროს, საქმრო-კი მოვალეა ამ კოცნაში დანიშნულს ბეჭედი მისცეს.“ მარსელის ვაკონტმა ფუკსმა თავის დანიშნულს ერთს კოცნაში დიდი ადგილი აჩუქა რამდენსამე სოფლით. ხან-და-ხან კოცნა ძლიერ ძვირად გაყიდულა. ბანკირმა სოლომონ გეინემ ერთს არტისტს ქალს ანტუანეტა ლებრენს ათასი მარკა მისცა. ნიუ-იორკში საქველმოქმედო საქმისთვის ერთი ლამაზი ქალი ლედი დადლეი ფულს აგროვებდა. ბევრს მდიდარს კაცს აკოცნინა და ბევრი ათასი დოლარი შეკრიბა. მაგრამ სულ ძვირად გაყიდული კოცნა-კი, რასაკვირველია, საიდუმლოდა ხდება ხოლმე და მკითხველთ ვერას ვაუწყებთ.

დასასრულ, ერთს ახირებულს ჩვეულებასაც გიამბობთ: რუმინიის ქალაქ გალმაგონში, სადაც 1,200 მცხოვრებია, ყოველ წლივ „კოცნის იარმუკა“ იმართება ხოლმე. იარმუკაზედ მოდიან სოფლებიდგან ახლად გათხოვილი, მორთულნი ახალგაზრდა ქალები. ხელში ღვინით სავსე დოქები უჭირავთ, ვინც კაცი შეხვდებათ, აკოცებენ, ღვინოს დაალევინებენ და კოცნაში ფულს ართმევენ. თუ კაცმა არ აკოცნინა, ეს ქალისთვის დიდი შეურაცხყოფაა. ეს დღე სწორედ კოცნის დღეა. ქალები ჰკოცნიან კაცებს, ნაცნობსა და უცნობს ქუჩაში, სახლში, ერთის სიტყვით, საცა-კი კაცი შეხვდებათ. რად შემოუღიათ ეს ახირებული ჩვეულება, სწორედ არავინ იცის.

„ივერია“, 1893 წელი, N104

მასალა ისტორიისათვის

შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რომელნიცა აღწერილ არიან ძველად მეფეთაგანცა და უკანასკნელ მეფისა მიერ ირაკლისა განცა ვითარცა არს მოხსენებულ ტრაკტატსა შინა დადებულსა ოდეს შეეკრა მის დიდებულებას იმპერატრიცა ეკატერინასა, წელსა 1783[1]

(იბეჭდება შემოკლებით)

ქ. ქართლის ისტორია იპყრობს თვის შორის ორსა უკუცვილებასა. პირველსა მთავრობისასა, ხოლო მეორესა მეფობისასა, და ესეცა მეფობა განყოფილ ოთხ გვარად:

1) ფარნავაზიანად, რომელნი იყვნენ ქართლოსიანი;

2) არშაკუნიანად, რომელნი იყვნენ ერმანიანნი;

3) ხოსროიანად, რომელნი იყვნენ სპარსთაგან და

4) ბაგრატოანად, რომელნიც არიან დავით წინასწარმეტყველის გვართაგან მოსულნი პალესტინით.

დროსა ქართლოსიანთ მეფობისასა იყვნენ გვარით უფრორე ქართლოსიანნი თავადნი, და აზნაურნი გარნა მცირედნივ იპოებიან და იგინიცა კავკასიისა მთათა შინა გარნა თუნმცა მცირედნი, რომელთაც მოვიხსენებ თავის თავის ადგილსა არშაკუნიანთა დროთა შინა, თავადნი უფრორე იყვნენ ერთმანთა ქვეყნისა განნი და აწცა არიან რაოდენნიმე გვარნი, რომელთაც ცხადად ჰყოფთ ქვემორე.

ხოსროიანთა დროისანნი იყვნენ სპარსთაგან თავადნი, რომელნიცა აწცა არიან რაოდენნიმე გვარნი თავადთაცა და აზნაურთაცა.

ხოლო ბაგრატიონთა დროისანნი, რომელნიცა იყვნენ და არიან მოხსენებულნი თამარ მეფისა დროსა შინა გვარნი, თავადთა და აზნაურთანი დია მცირენი ჰსჩანან, გარნა ისინიცა, რომელნიცა მის დროსა შინა ყოფილან, რომელნიმე დამდაბლებულ არიან თავადნი აზნაურად და გლეხადცა მძლავრობისა გამო ერისთავთა და სხვათა შემძლეთაგან, ვინაიდგან სპარსნი მრავალ ჯერ ჰფლობენ საქართველოსა მიზეზითა მით შეწევნითა. სპარსთა მართველთაგან დაუმდაბლებიათ იგინი, ვითარცა ქვემორე ვიტყვით.

ბაგრატიონობა ბაგრატისა გამო მისთა შთამომავლობათა ეწოდათ, ხოლო ოდეს მოვიდა რა საქართველოსა შინა წელსა ქრისტეს აქეთ 58-სა და ესე მართავდა საქართველოსა ერისთაობისა ხარისხითა, ხოლო ძმამან ბაგრატისამა გურამ შვა ძე და უწოდა ბაგრატ და ესე ბაგრატ იყო დედით სომეხთა მეფისა მირდატისა დისაგან შობილი, რომელიცა ჰყვა ცოლად გურამსა ბაგრატის ძმასა და შემდგომად მირდატისა სიკვდილისა, მოკვდა გურამცა. ესე ბაგრატ მორჩილებდა ერისთობისა ხარისხითა მირდატის ძესა ასფაკურს და ესენი მორჩილებდნენ ქართველთ მეფესა ვახტანგ გორგასლანისა შთამომავლობისასა. ხოლო ასწყდენ რა მირდატიანნი, არწმუნეს ყოველი ადგილი მისი გურამ ბაგრატის ძესა და უწოდეს მირდატოვანნი, ხოლო ასწყდენ რა ხოსროიანნიცა, მაშინ გურამმან შეაერთა სრულიად შავი ზღვიდგან საქართველო ვიდრე კასპიის ზღუამდე და მუნადმე ეწოდებოდა მირდატოვანი გურამს და მერე ამისა გიურამონ შესცვალა გვარი მირდატოვანისა და გაიგვარა მამისა თვისისა ბაგრატისა სახელსა ზედა ბაგრატიონობა, და ამან დიდად უერთგულა ბერძენთა მეფესა დროსა სპარსთა მოსვლისასა საქართველოსა შინა, რომლისა ჯილდოდ გიურამს ბაგრატოვანსა პირველად კურატ პალატობაი უბოძა კეისარმან იუსტინიანემ და შემდგომად მეფობისა ხარისხსა შინა აღიყვანა წელსა ქრისტეს აქეთ 575-სა და მუნიდგან ვიდრე აქამომდე იყო მეფობა ბაგრატოვანთა, რომელ მეფეთა ძენი და ძის ძენი და სხვანი ძმადა ძმისწულნი ყოველთვის იხსენებოდნენ უგანათლებულესობისა ტიტლოითა. ხოლო მდაბალნი, რომელთაც არა ხვდათ მეფობით შთამომავლობა, იხსენებოდნენ ტიტლოთი განათლებულესათ, ბრწყინვალე თავადად, ვითარცა არს აწ მუხრანის თავადი, მუხრან ბატონად წოდებული.

3. თავადნი ამილახვარიანნი

ამათნი უკვე გვარნი იყვნენ მოსულნი იტალიიდგან ძველად მხედარნი, რომელთანნი ოდეს მოვიდა მხედართა მძღვანი პომპიოს საქართველოსა შინა მხედრობითა თვისითა და დაიპყრო საქართველო წელსა დასაბამიდგან 3939. ესე მხედარნი დაშთნენ ერმანიასა შინა ტრდად მეფისა თანა და მერე მოვიდნენ საქართველოსა შინა დროსა სუმბატ მეფისასა და დაეშვნენ რომელნიმე ამათ ხალხთაგანი ქართლსა შინა და რომელნიმე ახალციხეს მესხეთსა შინა და ესენი მიიღო სუმბატ მეფემან აზნაურობისა ხარისხითა და უბოძა გვარად ზედგინისძეობა და მამული მისი ბეითალმონი. ხოლო რომელთათმე ამათ გვართა წარჩინებულებისა გამო მიიღეს თავადობა დროსა გიორგი მეფისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1150 წ.[2] და იწოდებოდნენ ზედგინიძეთ და შემდგომად ოდეს არამ ზედგინიძემ განარინა მეფის ალექსანდრეს ძე, გიორგი მეფე ბაგრატოანი, ორგულთა კაცთა ხელთა სიკვდილისაგან და თვით ზედგინიძე იორამ მოკლულ იქმნა ნაცვლად მეფისა, ამისა ჯილდოდ უბოძა შვილთა მისთა გვარად ამილახვრობაი და უფროსსა ძესა მისსა მიჰსცა სპასპეტობა, ქართლისა მოურაობა გიორგისა და ციხე გორის ჯვარი და სხვანი ადგილნი, რომელნიც იწოდებიან აწ საამილახვრო ადგილებად. ხოლო სასაფლაოდ უბოძა სამთავის ეკკლესიისა შინა ადგილი წელსა ქრისტეს აქეთ 1465-სა და მუნიდგან იწოდებიან თავად ამილახვრებად შთამამავლობანი მათნი, რომელნიცა განიყოფებიან სხვა-და-სხვა სახლად:

1) რევაზიშვილებად,

2) ქაიხოსროს შვილებად,

3) ბეჟანის შვილებად

4) ერასტის შვილებად და იმის ძმის წულებად,

5) გივის შვილებად.

ხოლო პირველი თავადობისა ადგილი და ამილახრობა სპასპეტობა იყო რევაზის შვილთა, რომელნიც უფროსნი იქმნებოდნენ სახლში, ხოლო სხვათა აქვნდათ მეორისა და მესამისა თავადისა ხარისხნი და პატივი. ხოლო სხვანი რომელნიც იყვნენ გვარნი ამათ ზედგინისძენი, რომელნიმე დაშთნენ აზნაურად ზედგინიძეებად და რომელნიც დაშთენ მესხეთს, იგინი თუმცა ამილახვრად არ იხსენებიან გვარით. გარნა არიან თავადნი იმერეთს მესხებად წოდებულნი და აზნაურებად. ეს სახედვე ახალციხესა შინა არიან ამილახვრის გვარისანი და ხიდირბეგისა შვილებნიცა თავადნი ამილახვრიანნი და რომელთაცა მოვიხსენებ თავის ადგილს ვითარებასა მათსა.

6. თავადი ციციშვილი

ამათნი წინა-პარნი არიან ურიასტანიდან მოსულნი. ძველადვე მდიდარნი კაცნი და ესენნი მოვიდნენ დაეშენნენ ახალციხის ნაწილსა ადგილსა შინა, ფანასკენტად წოდებულს, ამათთა შთამომავლობათა უკვე მსახურეს მეფესა თამარს და იყვნენ მეგობარცა სპასპეტის მხარგრძელის ზაქარიასი და ამის შუამდგომლობითა უბოძა მეფემან თამარ თავადობაი და ადგილისა მის ფანასკერტისა ზედა მხედველობაი და მამულნი მუნ. ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა ბაგრატისასა იყო წარჩინებული მხედართა წინამძღომი ზაქარია ფანასკენტელი, რომელსა უწოდნენ ზაზად და ამან უკვე დიდად მსახურა, დროსა მოსვლისა ლანგ თემურისასა, რომელიცა ბრძოდა მეფესა და ვინაიდგან წარჩინებულ იქმნა ზაზა ფანასკენტელი, აიძულა მეფემან და გარდმოასახლა საქართველოსა შინა, და მოუბოძა მძოვრეთისა ხეობასა შინა სოფლები და განაყოფთა ამათთა უბოძა ნიჩბისის ხეობაზედ სოფელნი, და დაასახლნა მუნ. ხოლო შემდგომად ამისა, მოკვდა რა ზაზა, დაშთა ძე ციცით წოდებული, რომელმანცა მეფესა კონსტანტინეს ამანცა ფრიად მსახურა სხვათა და სხვათა ბრძოლათა შინა, და ჯილდოდ ამისა მეფემან უბოძა შვილთა ამისთა და თვით მას გვარად ციციშვილობა, და აგრეთვე სახლის კაცთა და განაყოფთა ამათთა და მუნითგან იწოდებიან ციციშვილებად წელსა ქრისტეს აქეთ 1488 ესრეთ: ზემო ციციანათ და ქვემო ციციანად. ზემო ზიზიანნი არიან, რომელნიც მძოვრეთის ხეობას მცხოვრები არიან. ხოლო ქვემო ციციანნი ნიჩბისის ხეობაში სახლობენ და ზემო ციციანნი არიან აწ მოხელედ:

1). მოურავის შვილები, 2) ნიკოლაოზისა, 3) ამილბარის შვილებად, 4) გლახას შვილებად, 5) პაატას შვილებად, 6) გიორგის შვილებად, 7) ზაქარიას შვილებად და სხვანი. ხოლო ქვემო ციციანნი დიმიტრის შვილებად და აწ ცხოვრობენ ესენნი მოსკოვს, 2) მდივან-ბეგის შვილებად, 3) ზაზას შვილებად და 4) კიდევ ზაზას შვილებად. ხოლო ამათში პირველის ოჯახისა შვილი იყო პირველ ხარისხის თავადად. ხოლო სხვანი მეორე და მესამე თავადის ხარისხისა.

10. თავადი ფალავანდის შვილი

ესენი იყვნენ მოსახლენი, პირველ ნახჩევანის ნაწილსა შინა ერენჯაქად წოდებულსა და სცხოვრებენ მუნ წელსა ქრისტეს აქეთ 1184 - სა, ხოლო უკანასკნელ ამათნი წინა-პარნი სიავკაცისა გამო მეფემან სომეხთამან გამორეკნა და მოვიდნენ ახალციხეს და მუნ სცხოვრებენ. შემდგომად ამისა, წელსა 1600, რა დაიპყრეს საათაბაგო თურქთა, მაშინ მათგანი რომელნიმე გათათრდენ და დარჩნენ ახალციხეს, ხოლო სხვანი გარდმოვიდნენ და მეფემან ლუარსაბ უბოძა მამული ძაღინის ხეობასა შინა და დაასახლა მუნ და ვინაიდგან ძველადცა იყვნენ კეთილნი და მესამე ხარისხის თავადათცა იხსენებოდნენ...

ივერია,1884 წელი, N04

[1] ეს აღწერა ანუ ისტორია საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარებისა ამოვწერეთ ხელ-ნაწერებიდგან, რომელნიც პროფესორს დ.ი. ჩუბინაშვილს ჰქონია თავის ბიბლიოთეკაში

[2] გარკვევით არ არის

მატიანე

აწყურის სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები., 1927 წელი, 25 თებერვალი, რაფიკ ეფენდიევის საოჯახო ალბომიდან

ახალი გამოცემები

ახლახან გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორის ინიციატივით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისა და სამშენებლო ორგანიზაცია „მშენებელი - 2012“-ის ფინანსური მხარდაჭერით, დაისტამბა იზო სარქისიანის



პოეტური კრებული „საგზლად სიყვარულიც მეყოფა“, რომელიც პოეტის 70 წლის იუბილეს მიეძღვნა.

იზო სარქისანს კარგად იცნობს როგორც ბორჯომელი, ასევე პოეზიით დაინტერესებული რეგიონის მოსახლეობა. მისი ლექსები ხშირად იბეჭდება როგორც ადგილობრივ გაზეთში, ასევე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და მკითხველთა ყურადღებასაც იქცევს. იზო დიდებულად ფლობს ქართულ ენას, რედაქტორ-გამომცემლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მის ლექსებში იგრძნობა საქართველოსადმი უსაზღვრო სიყვარული და პატრიოტული განცდა, მისთვის საქართველოა დედასამშობლო და გულით უმღერის მის მთა-ბარს, ისტორიას, დღევანდელობას.“

იზო სარქისიანის პოეზია მრავალფეროვანია. მის პოეტურ კრებულში პატრიოტულ თემატიკასთან ერთად, მრავლადაა წარმოდგენილი ლირიკული, საბავშვო და დღევანდელი საქართველოს მდგომარეობით გამოწვეული დიდი ტკივილებით გაჟღენთილი ლექსები. კრებულში განსაკუთრებით ჭარბობს როგორც ბორჯომისადმი, ასევე აქ მცხოვრები დამსახურებული ადამიანებისადმი მიძღვნილი ლექსები.

ამ პოეტური კრებულიდან გთავაზობთ ორ ლექსს:

დავაგვიანე

ბევრი თუ ცოტა ვიარე,
აღმართი ამოვიარე,
სევდის და ცრემლის მდინარე
წვალებით გადმოვიარე.

წინ ჯადოქარი დამიხვდა,
კრძალვით მიველ და ვეახლე,
იღბალი ვთხოვე, არ მომცა,
მივხვდი, რომ დავაგვიანე.

ლექსო, ამოგთქომ...

„ლექსო, ამოგთქომ ოხერო“,
გავხსენი გულის კარები,
უბრალო სიტყვით წარმოგთქვამ,
ზოგ-ზოგს არ დავედარები.

შენ ოღონდ ჩემთან მოფრინდი,
წერას არ დაგეზარები,
თუკი სიყალბე შემატყო,
მძაფრად შემოჰკარ ზარები.

გზააბნეული რითმისთვის
ღია დავტოვე კარები,
მე სიყვარულით წარმოგთქვამ,
თუ მაინც არ გეყვარები,
რა ვქნა, ამასაც გავუძლებ,
ძალით ვის მიეძალები?!

ფოლკლორი

მელას ოინი

ერთი დათვი და მელა დამეგობრდნენ. დღე ყოველ რასაც ინადირებდნენ საღამოს მოიტანდნენ სოროში. მივარდებოდა დათვი, როგორც თავის, ეგრეთვე მელიას ნაშოვარსაც შეთქვლეფდა ხოლმე. დარჩებოდა მელა მშიერი.

დამაცადე, რა გიყო შენ, იტყოდა ხოლმე თავისთვის მელა.

ერთხელ რო კიდევ მიდიოდნენ ესენი, ჩვეულებრივ სანადიროთ, მელამ მოიძია გზაში ერთი თხილი, აიღო, გატეხა და შეჭამა. – რას შრობიო, – ჰკითხა დათვმა. – არაფერსა, მომშივდა და თვალი გამოვიგდებინე და შევჭამეო. დათვმაც გამოიგლიჯა ფანჩით ერთი თვალი და შეჭამა. მელამ მეორე თხილი ნახა, გატეხა და ისიც შეჭამა. დათვმა დაინახა ეს, ეგონა თვალი შეჭამაო და იკრა მეორე თვალში ფანჩა, გამოიგდო და შეჭამა. დაბრმავდა ორივ თვალით დათვი და იძახდა:

– მიშველე მელავ, ველარ ვხედავო.

მოჰკიდა ფანჩა მელამ და წაიყვანა დათვი.

– სად მიგყავარო, – ჰკითხა დათვმა.

– სადა და მანდეთ ბატებია და წავიდეთ შევჭამოთო.

– მე მაინც მშიანო და, აბა ჩქარა მიმიყვანეო.

– მისული ვართო, – უთხრა მელამ.

მიაყენა უშველებელ ღრმა ხევის კლდის წვერზე, ჰკრა ფანჩა და გადააგდო უფსკრულში.

მელა და კაკაბი

მელამ კაკაბი დაიჭირა და ჭამას რომ უპირებდა, კაკაბმა შესთხოვა: მაინც ხომ შენი ლუკმა ვარ, ღმერთს მადლი შესთხოვე და ისე შემჭამეო. მელამ დაუჯერა, აღაპყრო მაღლა წინა ფეხები და სთქვა: გმადლობ, შენ, უფალო, რომ დღეის სადილი გამომიგზავნეო. ამ დროს იდროვა კაკაბმა და გაფრინდა. მელამ დაიხედა წინ და რომ აღარ დახვდა ლუკმა, წამოიძახა:

„კაკბისა მოსატყუარსო,
ვაი შენ ვაგლახ მელასო,
ჰქონდა მშიერი მუცელი,
რაღა დიდება ღმერთსაო.„

ჩამწერი მესხი კოტე გვარამაძე, საქართველოს მუზეუმის ხელნაწერების განყოფილება. II, N1997

***

გმირი მესხები არასდროს
ხმალს ქარქაშში როდი დებენო,
ვინც გაირჯება ერისთვის
ვაჟკაცის სახელს სდებენო!

***

თათრები შემოგვესნიენ
ურჯულო, ჩვენი მტერია,
გვებრძვიან ყოველი მხრიდან,
მათი დახვედრა ძნელია.

შემოიკრიბნენ მესხები,
ხმლით დაიმშვენეს წელია...

მეხივით დასცეს ყიჟინა,
თათრებს უტირეს დედაო,
ომი გაჩაღდა ფიცხელი,
სისხლის გუბენი დგებაო.

იმარჯვეს გმირმა მესხებმა,
გადაირეკეს თათრები,
მეისტორიევ დაწერე,
გამარჯვებულზე დავთრები!

***

ამქვეყნად ღარიბისათვის
აბა, რაა გასაკვირი,
შიმშილი და სივაგლახე
მუდამ ჯაფა, გასაჭირი.

მტერიც მაშინ გამოჩნდება,
როცა საქმე ცუდად მივა,
თუ ხარ ბედით დაჩაგრული
არაფერი გამოგივა!

***

ზოგი კაცი მტერსა უფრთხის,
ეშინია, ვაი-ვიშობს,
ზოგსა კიდევ ფული უყვარს,
დღეში ცხრაჯერ ანგარიშობს.

ღმერთს არცერთი არ უქნია,
საქვეყნოდ არ გამოდგება,
ერთურთს პატივს არა სცემენ,
ღმერთი როგორ ეყვარებათ.

***

ბუზმარეთი მოვიარე,
მრავლად იყვნენ ქალნი-კაცნი,
მორთულიყვნენ საზეიმოდ,
და ედიდათ მაცხოვარი.

***

ბუზმარეთს ვიყავ დღეობას,
გიორგობისა თვეშიო,
ფოცხოვმა ცხენი გამტაცა,
აქცია ლურჯაი ლეშიო.

მე ძლივს გადავრჩი, გავედი,
გაღმა ხევს ნაპირზედაო,
ღვთისმშობელს მადლი შევწირე,
მფარველო, წმინდა დედაო,
პირჯვარი გადავიწერე,
ვილოცე ზედი-ზედაო.

***

ვადიდეთ ქრისტე უფალი,
ქერის პურით და ღვინითა,
ღმერთო, აავსე ქვეყანა,
ლხინით და სიხარულითა.

მთქმელი ოსიკო გიქოშვილი, ახალციხე, სოფ. ივლიტა, 92 წლის.
ჩაიწერა სოსო გიქოშვილმა 2025 წელს

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com